# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 24 დეკემბერი 1996 №137 (362) | ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალმასკომია თუ მასონთა ლოჟა?



## ვერსად წაძვალო — ასე უთქვამთ ჩივაძისთვის

„სარბიელის“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომის შესახებ სფფ–ის საინფორმაციო სამსახურმა ჩვენთვის და არა მარტო ჩვენთვის პირში წყალი ჩაიგუბა, ამ სამსახურის ხელმძღვანელმა კი ძალიან გონივრული რჩევა მოგვცა — თუ რამ გაინტერესებთ, „ქართულ ფეხბურთში“ წაიკითხეთო. წაკითხვით, ცხადია, წავიკითხეთ, მაგრამ გადმობეჭდვის არანაირი სურვილი არ გაგვჩენია — ალბათ ფედერაციის თავკაცთა სურვილი იყო, რაც შეიძლება ცოტა ადამიანი გასცნობოდა ალმასკომის სხდომის მიმდინარეობას და, აბა, ჩვენ ამაში ხელს ხომ არ შევუშლიდით. ერთი რამ კი იმ წერილში, „ქართულ ფეხბურთში“ რომ დაიბეჭდა, საგულისხმოდ გვეჩვენა — 20 დღის ფიქრის შესახებ იქ სიტყვაც არ იყო დაძრული. არადა, ეს ინფორმაცია თვით ფედერაციის გენერალური მდივნისგან მივიღეთ. მერე, ეს ცნობა სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს და აი, გუშინ ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ოფიციალურად შემოგვითვალა, რომ

**არანაირი 20 დღე ალმასკომს ჩივაძისთვის არ მიუცია — ალმასკომმა ეროვნული გუნდის მწვრთნელს მუშაობის გაგრძელება დაავალა!**

მოკლედ, ტრადიციულად, ფედერაციიდან მოსული ცნობები კვლავ საფიქრალს გვიჩენს — ვინ ამბობს სიმართლეს: გენერალური მდივანი თუ საინფორმაციო სამსახურის უფროსი? თუ საქმის ნამდვილი ვითარება არც ერთმა იცის და არც მეორემ?

ისე, თუ ახალი ვერსია (ჩივაძეს დაევალა ულაპარაკოდ განაგრძოს მუშაობა) მართალია, მაშინ ერთობ საინტერესო ხდება ალმასკომის წევრთა ვინაობის დადგენა. ეს იმიტომ, რამე რომ იყოს, „თავისი წილი პასუხისმგებლობა“ მომავალში მათაც გაიზიარონ. თორემ რაღას ვერჩით ჩივაძეს — კაცი მიდიოდა და არ გაუშვიათ. ჩვენი ცდა, მოგვეპოვებინა ჩივაძის დამკავებელთა სრული სია, ისევ „ჯადოსნურმა წრემ“ შეაჩერა — იმას აქვს; არა, კაცო, მე საიდან მექნება; შეიძლება იმას ჰქონდეს; და ბოლოს — გენერალური მდივნის გარეშე მაგ ინფორმაციის მოწოდება არ შეგვიძლიაო.

ესღა გვაკლდა, ფეხბურთის ფედერაციაში მასონებიც დაბუდებულან.



# გიო აგებს

გიოსთან ყველაფერი ძველებურადაა: „სიტიმ“ კვლავ წააგო, გიომ კვლავ კარგად ითამაშა და გოლიც გაიტანა, და პრესაში კვლავ მისი მოსალოდნელი გადასვლის, ამჯერად „ნიუკასლში“, შესახებ ალაპარაკდნენ. ახალი მხოლოდ ისაა, რომ შაბათის მატჩში გიომ პირველად ვერ გაიტანა პენალტი.



# რეზო იგებს

გუშინწინ ბელგიის ჩემპიონატის მე-18 ტურში რეზო არველაძის „მეხელენი“ ბრიუგეში იქაურ „სერკლ ბრიუგეს“ შეხვდა და მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. გადამწყვეტი ბურთი რეზომ გაიტანა. „მეხელენმა“ შედარებით გაიუმჯობესა მდგომარეობა და ახლა ბოლოდან მეხუთე ადგილზეა.

# აქაც დინამომ მოიგო



„დინამო“ — „საბურთალოს“ შეხვედრის შემდეგ საბურთალოელი დათო მუჯირი და მისი ჩინებული გუნდი პენალტების სერიამ ფინალს მიღმა დატოვა. არადა, „საბურთალომ“ მართლაც ლამაზი ფეხბურთი ითამაშა. თავად დათოც გამოირჩეოდა. მასთან ნუგზარ ლობჟანიძე მივიდა, დაამშვიდა. მაყურებელმა ისინი ოვაციით გააცილა. აი, ასე ძვირად ულირდათ ევროპის ქვეყნებმოვლილ ბიჭებს საქართველოს ეროვნული გუნდების წევრებს გამარჯვება თუ დამარცხება აიეტი-TV-ის საშობაო ტურნირზე. ეს ყველაფერი შაბათს, ნახევარფინალების დღეს მოხდა.

ერთმანეთს კი „აიეტი“ — „ვაკე“ და „დინამო“ — „საბურთალო“ ხვდებოდნენ

**აიეტი 3:1 ვაკე**

**0:1 ქოლოკავა (11), 1:1 ფანცულაია (16), 2:1 კორღალიძე (16), 3:1 ტყავაძე (31)**

შეხვედრა თავიდანვე ორგანიზატორთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა პირველი გოლი ვაკელებმა გაიტანეს: გოლმა თამაში გახსნა და მაყურებელმაც ლამაზი ორთაბრძოლა იხილა. გაავებულმა „აიეტმა“ ერთმანეთის მიყოლებით მოაწყო მწვავე შეტევები. განსაკუთრებით ტყავაძე გამოირჩეოდა, სამივე გოლი სწორედ მისი აზრიანი მოქმედების შედეგად გავიდა. ბოლო წუთებზე მსაჯთან კამათისთვის ჭოლოკავა გააძევეს, ვაკელებსაც საბოლოოდ გაუტყდათ გული და მარცხს შეურიგდნენ — 3:1.

**დინამო 5:4 საბურთალო**

**(ძირითადი 2:2. პენალტებით 3:2)**

**0:1 იაშვილი (4), 1:1, 2:1 კერძევაძე (17, 26), 2:2 კობიაშვილი (28)**

**პენალტები: 3:2 დემეტრაძე, 3:2 მუჯირი (მეკარე), 3:2 ინალიშვილი (მეკარე), 3:3 კობიაშვილი, 4:3 კალაძე, 4:4 ქორიძე, 5:4 კერძევაძე, 5:4 ცქიტიშვილი (მეკარე), 5:4 ჯამარაული (მეკარე), 5:4 ანჩაბაძე (მეკარე)**

შეხვედრის შეფასებაში ყველა ერთსულოვანი იყო — იგი ფინალს უფრო დაამშვენებდა. აქ ყველაფერი იყო: ლამაზი ფეხბურთი, ბრძოლა და ინტრიგა, მომენტების სიუხვე. ჯამარაულის გუნდი აჯობებდა თუ ანჩაბაძის? თავად ეს იყო ინტრიგა, და შეხვედრამ იმედები გაამართლა. საბურთალოელთა იმპროვიზაციას დინამოელთა ათლეტურობა დაუპირისპირდა. 2:2-ზე ანჩაბაძე გუბაზ დოლიძემ მოცელა და მსაჯმა უმალ პენალტი დანიშნა. მუჯირმა ხარიხას მოარტყა. ამასობაში ძირითადი დროც გაილია, ამას ორი უშედეგო დამატებითი ხუთწუთიანიც მოჰყვა და ბოლოს ჯერი ყველაზე საინტერესოზე — პენალტების სერიაზე მიდგა.

ჯამარაულის დარტყმას დინამოელთათვის გამარჯვების მოტანა შეეძლო, მაგრამ გეგეჭკორმა აილო. აილო და დაეცა კიდეც. მერე გვითხრა — ბურთი ისეთი ძალით წამოვიდა, მეგონა, ხელში ტყვია მომხვდაო. წარმოიდგინეთ, რა ძალის უნდა ყოფილიყო დარტყმული, რომ მან ხელი იღრძო. თუმცა, საბურთალოელებს მეკარის სიყოჩაღე აღარ სჭირდებოდათ — ახლა უკვე ანჩაბაძეს დოლიძემ აუღო. რომელმაც მეტად ივარგა — 5-დან 3 პენალტი მოიგერია და თავისიანები ფინალში გაიყვანა.

**აიეტი 1:3 დინამო**

**0:1 ინალიშვილი (2), 0:2 კერძევაძე (3), 1:2 ფანცულაია (23), 1:3 კერძევაძე (37)**

თამაშის ბედი პირველივე წუთებზე გადაწყდა. მართალია, აიეტელებმა ამის შემდეგ აიწყვიტეს, უპირატესობაც მოიპოვეს და ანგარიშიც შეამცირეს, მაგრამ კერძევაძის გოლმა დაასრულა აიეტის თასისათვის დავა. ყველაზე სასარგებლო მოთამაშის პრიზი რომ დაეწესებინათ, მას უთუოდ კერძევაძეს გადასცემდნენ. ჯერ კიდევ ჯგუფურ ტურნირში იხსნა მისმა გოლმა გუნდი „ცისარტყელასთან“ მარცხისგან, ნახევარფინალშიც ივაჟკაცა და დინამოელთა ორივე გოლი გაიტანა, ფინალშიც სასარგებლოდ ირჯებოდა. ტურნირის ფავორიტად მიჩნეული აიეტი დაჩრდილეს რაციონალურად და მწვავედ მოთამაშე დინამოელებმა. სწორად ითამაშეს და უფრო დახვეწილი ოსტატობაც გამოამჟღავნეს. ტექნიკურ მეტოქეს „ახრჩობდნენ“, არც ბურთს უთმობდნენ და დარტყმის საშუალებას არ აძლევდნენ. შედეგად, აიეტი-TV-ის პირველი საშობაო ტურნირის მთავარი პრიზიც დამსახურებულად მოიპოვეს.

ფინალის შემდეგ საუკეთესოები დააჯილდოვეს. საუკეთესო მოთამაშე დავით სოლოღაშვილი (აიეტი) გახდა, მეკარე — გუბაზ დოლიძე (დინამო), მცველი — ლევან კობიაშვილი (საბურთალო), გამთამაშებელი — გიორგი ანჩაბაძე (საბურთალო), თავდამსხმელი — ბუბა ტყავაძე (აიეტი), ბომბარდირი — მამუკა ფანცულაია (14 გოლი, აიეტი), მწვრთნელი — ნიკუშა დოლიძე (საბურთალო).

ტურნირის ორგანიზატორის — „აიეტი-TV“-ის პრეზიდენტის თემურ ფიჩხაიას თქმით, მომავალი წლიდან საშობაო ტურნირი საერთაშორისო გახდება. „ჩამოვიყვანთ ესპანეთისა და იტალიის გუნდებს, ამერიკიდანაც მოვიწვევთ გუნდებს. ჩვენი ამერიკელი პარტნიორი ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის — „ნიუ-იორკ რედ სტარის“ მესაკუთრე გახლავთ. თვენახევარში ამერიკაში მივემგზავრები და ამაზე მოვილაპარაკებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

**ბადრი ქეთილაძის ფოტო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მურთაზ ხურცილავა: შეიძლება ოდიშიდან წავიდე



ახლახან შემოგთავაზეთ ვალტერ გუჩუასთან ინტერვიუ, მან, „ოდიში“ შექმნილ ვითარებაზე საუბრისას, თქვა, კლუბის პრეზიდენტ ბექან გუნავასთან საქმის დამჭერი აღარა ვარო. მერე ისაც შევიტყვეთ, რომ ამ ინტერვიუს ზუგდიდში დიდი გამოხმაურება მოჰყოლია. რეაქცია არც „ოდიშის“ მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ დააყოვნა. მას არ დაუმალავს, რომ გუნდი არსებობს გარკვეული პრობლემები, თუმცა ვალტერ გუჩუას საქციელი მართებულად არ მიუჩნევია — სჯობდა, სათქმელი შინაურულად გაგვერჩიაო. თუმცა კი აუგი გუჩუაზე მაინც არ დასცდენია. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს იგი მედიატორის როლს ასრულებდა გუნავასა და გუჩუას შორის. მწვრთნელს ვთხოვეთ, აეხსნა, თუ რით იყო გამოწვეული მოთამაშესა და პრეზიდენტს შორის არსებული კონფლიქტი, თუმცა ბატონი მურთაზი მაზე არ დაგვეთანხმა:

— მათ შორის კონფლიქტი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ფაქტი მე არ მსმენია. მალე შევხვდები ვალტერს და გავარკვევ, რა მოხდა სინამდვილეში. ვეჭვობ კი, რომ მას ასეთი მკაცრი განცხადების საფუძველი ჰქონოდა.

**— მაშ, გუჩუამ უსაფუძვლოდ გააკრიტიკა პრეზიდენტი?**

— იცით, რაშია საქმე? ვალტერი ახალგაზრდა და გამოუცდელი კაცია, თანაც ლტოლვილია და ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს, ვერ მოზომა სათქმელი და იმიტომაც გამოუვიდა მკვახედ ნათქვამი, რამაც, სიმართლე გითხრათ, გული მატკინა. „ოდიშის“ პრეზიდენტი ასეთ მკაცრ კრიტიკას არ იმსახურებდა. პირიქით, გუნავამ მეტად სერიოზული და მძიმე საქმე იტვირთა და მას კრიტიკა კი არა, თანადგომა სჭირდება.

**— მაშინ რა ამოძრავებდა გუჩუას? ვერ ვიტყვით, გუნდიდან წასასვლელად პრეზიდენტის კრიტიკა გამოიყენაო. ამ მხრივ პრობლემები რომ არ ჰქონია, თავადაც თქვა — ხურცილავა ხელს მიწყობს „ალანიაში“ გადასვლაშიო...**

— მიჭირს ამის თქმა. არ დავმალავ და, გუჩუას პრეტენზიები ჰქონდა ფულთან დაკავშირებით, მაგრამ ეს პრობლემები გუნდშივე უნდა მოგვარდეს და საჯარო განცხადებები საჭირო არ არის. თანაც, ვერც იმას ვიტყვი, „ოდიშს“ განსაკუთრებული ფინანსური პრობლემები აწუხებდეს. ვალტერის განცხადება იმიტომაც გამიკვირდა, რომ მოთამაშეებს გუნავასთან რაიმე სერიოზული კონფლიქტები არ მოსვლიათ.

**— თავად გუჩუასაც?**

— მათ შორის გუჩუასაც ვგულისხმობ. სწორედ გუნავამ ჩამოიყვანა ზუგდიდში ვალტერი და მისი ოჯახი. სითბო და სიყვარული მისთვის არ მოუკლია. დღეს „ოდიში“ საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის და ეს სწორედ გუნავას დამსახურებაა, რაც არ უნდა დავუკარგოთ.

**— ვალტერი ამბობს, ზუგდიდელი საქმოსნები ფეხბურთელებს გვაგინებენ, რადგან მათ ჩვენთვის თანხის გადახდას თხოვენო...**

— არა მგონია, ასე იყოს. ზუგდიდში მათ სიყვარულს არ აკლებენ. რასაკვირველია, როგორც ყველგან, ჩვენთანაც არის ასე — საკონტრაქტო თანხა მოთამაშეებს ბოლომდე არ მიუღიათ, თუმცა ნაწილი გადახდილია. ერთხელაც ვიტყვი — ვალტერი ყველაფერს ცხელ გულზე იტყოდა. მოუგვარებელი პრობლემა რომ ყოფილიყო, მე რა, დავმალავდი? შეიძლება, თავად ვალტერს ვიღაცამ რაღაცა წამოაძახა და ამის გამო განაწყენდა. ხომ იცით, ტყუილად არც გუნავას დავიცავ და არც სხვას. მაგრამ ამ კაცს უზომოდ ნუ ვაკრიტიკებთ, მის საქმიანობაში სასიკეთოც უნდა დავინახოთ.

**— გუჩუას თქმით, მსგავსი ვითარება „სამტრედიაშიც“ ახსოვს და აღარ სურს, კვლავ ისეთსავე ვითარებაში აღმოჩნდეს.**

— მე არ მსურს, „სამტრედიაზე“ ვილაპარაკო. ის კი ვიცი, რომ გუნავა ცდილობს, გუნდთან პირნათელი იყოს.

**— ამას არც ვალტერი უარყოფს — მაგრამ მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი, ფულია საჭიროო...**

— ბექანს გუნდის ყოლის სურვილიც გააჩნია და საამისოდ ბევრსაც აკეთებს. მართალია, დიდძალი თანხა ჩვენ გუნდს არ გააჩნია, მაგრამ რაც დღემდე გაკეთებულა, სწორედ გუნავასა და ზუგდიდის რაიონის გამგებლისა და სამეგრელოს რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ბონდო ჯიქიას დამსახურებაა. ამის უთქმელობა არ შეიძლება. ხალხმა, ალბათ, არც იცის, ესენი რამხელა საქმეს აკეთებენ. თუ ეს არ იცი, კრიტიკა უსაფუძვლო იქნება. რასაკვირველია, პრობლემები არსებობს და მათზე თვალს არ ვხუჭავ, დალხინებული ცხოვრება არა გვაქვს, მაგრამ ისეც არ არის საქმე, როგორც ვალტერი ლაპარაკობს.

**— იმ ინტერვიუს შემდეგ თქვენი და ვალტერის ურთიერთობა ხომ არ შეიცვლება?**

— რასაკვირველია, არა! უბრალოდ, გავესაუბრები და გავიგებ, რა მოხდა.

**— მოდით, ვალტერის მომავალზე ვისაუბროთ. მას, თურმე, „ალანია“ იწვევს. ამას გარდა, გაბედავას და წიტაიშვილსაც უპირებენ მოსკოვის გუნდები გასინჯვას.**

— ასეთი მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობს. სიომინს „ლოკომოტივში“ წიტაიშვილის გასინჯვა სურს, ივანოვს კი „ტორპედოში“ — გუჩუასა და გაბედავასი, რაც მოსკოველებმა ფაქსით გვაცნობეს.

**— ამის მიუხედავად, გუჩუა „ალანიას“ ამჯობინებს...**

— გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ ვლადიკავკაზი უფრო ახლოა, ქართველი ბევრია, თანაც ოსებს გუნდიც უკეთესი ჰყავთ და მივიჩნიეთ, რომ ვალტერისთვის „ალანიაში“ გადასვლა სჯობდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ გუჩუა უკვე „ალანიაშია“. მას გასინჯავენ და, თუ დაიტოვებენ, თვითონაც იხეირებს და „ოდიშიც“.

**— გავიგეთ, კორღალიძისთვის „ოდიში“ გადმოსვლა შეგითავაზებიათ...**

— თუ ფინანსური შესაძლებლობანი ხელს შეგვიწყობს, ოთარს დიდი სიამოვნებით დავიმატებ. წინასწარი თანხმობაც უკვე მიღებულია.

**— კორღალიძის გარდა ვისი დამატება გსურთ?**

— სურვილი, იცოცხლეთ, კარგი გვაქვს, მაგრამ ვნახოთ, რისი საშუალება გვექნება. გუჩუას, გაბედავას და წიტაიშვილის გაყიდვა იმიტომაც გვსურს, რომ ფინანსურად მოვძლიერდეთ და ხალხიც ავიყვანოთ.

**— რომელი პოზიციის გაძლიერებას აპირებთ?**

— ნებისმიერ პოზიციაზე ჩემი გემოვნების მოთამაშეს დავიმატებდი.

**— თქვენი გემოვნების მოთამაშეებად გია ჯიშკარიანსა და დათო ცომაიას მიიჩნევენ. ჯიშკარიანი უკვე ვარჯიშის დაწყებასაც აპირებს, ცომაია კი II ლიგის „კოდაკოში“ თამაშობს. მათ აყვანას არ აპირებთ?**

— ცომაიას ჩემპიონატის დაწყებამდე ვესაუბრე. მსურდა, „ოდიშში“ ეთამაშა, მაგრამ მაშინ დათოს სხვა წინადადებებიც ჰქონდა და ვერ შევთანხმდით. ჯიშკარიანსაც ველაპარაკე, მაგრამ მას ჯერ კიდევ აწუხებს ფეხის ტკივილი და სრულფასოვნად ვარჯიშსსა და თამაშს ვერ შეძლებს. როგორც კი მომჯობინდება, ისევ დაველაპარაკები. ჩვენ არც ისე მდიდრები ვართ, რომ გიასთანა მოთამაშეები დავივიწყოთ.

**— რადგან გუნდის სატკივარზე ვსაუბრობთ, ერთსაც დაგეკითხებით, რათა ჭორ-მართალი გავარჩიოთ. საფეხბურთო წრეებში გავრცელებულია ასეთი მოსაზრება — მეორე წრისთვის „ოდიში“ დაიშლებაო...**

— ეს გამორიცხულია. „ოდიში“ ასეთ კატასტროფამდე არ მისულა.

**— პირველ წრეში აუტსაიდერ „სამგურალთან“ წყალტუბოში წაგების შემდეგ ითქვა, ხურცილავას გუნდის დატოვება სურდაო...**

— ეს ტყუილია! მაშინ მსგავსი რამ ფიქრადაც არ მომსვლია. მაგრამ ახლა კი ვფიქრობ — დავრჩე „ოდიშში“ თუ წამოვიდე.

**— ?!**

— კი, ვფიქრობ ამაზე.

**— ამდენი ხანი მიმტკიცებდით, გუჩუას მკაცრი განცხადებების საფუძველი არ ჰქონიაო და თავად არ იცით, დარჩებით თუ არა „ოდიშში“? უცნაური ლმერთმანი...**

— არა, ჯერ არ გადამიწყვეტია, ვტოვებ თუ არა გუნდს, მაგრამ ამაზე ბევრს ვფიქრობ. „ოდიშში“ მე ზუგდიდელების სიყვარულით მივედი და დღესაც ეს მაკავებს.

**— რა არის თქვენი ასეთი ფიქრის მიზეზი?**

— მიზეზების პრესაში დაწვრილებით განხილვა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. პიროვნული უსიამოვნებების გამო არ დასმულა ასე საკითხი. მოკლედ, გადაწყვეტილებას მალე მივიღებ.

**— მაინც როდის?**

— 10 იანვრამდე.

**მერაბ მამულაშვილი**


# CROCO ქუთაისში

საქართველოს დასავლეთ დედაქალაქში მუშაობს სპორტული ლატარია "CROCO"

ამიერიდან ქუთაისელები და ქუთაისის სტუმრებიც ისარგებლებენ:

- *ყველაზე მაღალი კოეფიციენტებით*
- *ყველაზე მოქნილი და ხელსაყრელი წესებით*
- *ყველაზე ვრცელი და მრავალფეროვანი პროგრამით*
- *ყველაზე ოპერატიული და დეტალური ინფორმაციით*

და, რა თქმა უნდა, მოგებული თანხის დაუყონებლივ მიღების სრული გარანტიით!

მისამართი: ქუთაისი, პუშკინის ქუჩა №16
დასავლეთ საქართველოს ტელერადიოკორპორაცია „ივერიონის“ შენობა


# სოსო გრიშიკაშვილი: მგონი, მეშველა



კარგა ხანია, სოსო გრიშიკაშვილი მხიარული არ მინახავს. ჯერ კიდევ „ალანიაში“ ირიცხებოდა, ჩივაძემ კვიპროსთან შეხვედრაზე რომ გამოიძახა. აბა, რა ემხიარულებოდა — იქ, კვიპროსზე, წინა ვარჯიშზე ფეხი იტკინა, ამას გაზაევთან კონფლიქტი და „ალანიას“ დატოვება მოჰყვა, შემდეგ კი თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. სულ ცოტა ხნის წინ მანქანაც დაუმტვრევია. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, ამდენი უიღბლობის მერე მომღიმარი რომ ვნახე.

— მგონი, ამოვისუნთქე და ისევ ვითამაშებ. „მიხიჩამ“ — ძოწუაშვილმა, ლატვიაში გადასვლა და „სკონტოში“ თამაში შემომთავაზა.

**— „ალანია“ შენს საფასურს აღარ ითხოვს?**

— ესაც გასარკვევი მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ძოწუაშვილი შემპირდა დახმარებას. ლატვიაში გადასვლის ამბავი რომ მითხრა, ძლიერ გამეხარდა. იქნებ, ახლა მაინც დამადგეს საშველი. ძნელი ყოფილა ლოდინი და გაურკვევლობა.

**— როგორც მახსოვს, ცოტა ხნის წინ ვლადიკავკაზში აპირებდი წასვლას. ამბობდი, გაზაევმა დამიძახა და შეიძლება კვლავ „ალანიაში“ დავბრუნდეო. რა გაარკვიე?**

— გაზაევმა კვლავ რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე ჩამომიგდო სიტყვა, მაგრამ ვუთხარი, რომ ჩემი მიზანი საქართველოს ნაკრებში თამაშია, რუსეთის მოქალაქეობა კი ამაში ხელს შემიშლის.

**— ჯიშკარიანი და რევიშვილი ხომ რუსეთის მოქალაქეები არიან და, ამის [illegible], მაინც იძახებენ ნაკრებში?**

— გაზაევმა პირდაპირ მითხრა — [illegible] მოქალაქე თუ გახდები და „ალანიაში“ ითამაშებ, საქართველოს ნაკრებზე აღარც იფიქროო. ამაზე როგორ დავთანხმდებოდი? პასუხად კი გაზაევმა მომიგო — გუნდში უცხოელი მეკარის ხელს არ მაძლევსო.

**— მაგრამ გავიდა დრო და აღარც „ალანიაში“ ირიცხები და ნაკრებშიც აღარ გიძახებენ...**

— გუნდში აღარ ვირიცხები და აბა რა იქნება. მაგრამ, იმედი მაქვს, გაცდენილს და დაკარგულს ავინაზღაურებ და ნაკრების დონეზეც, ადრე თუ გვიან, ვითამაშებ. თუმცა კი, საამისოდ დიდი კონკურენციის დაძლევა მომიწევს — ზოიძესთან და ტოგონიძესთან. დევაძეც, ალბათ, ითამაშებს სადმე, სულ ასე ხომ არ იქნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ნაკრებში თამაშზე ვფიქრობ. კონკურენცია კარგიც კია. ვარჯიშისას სტიმულს მაძლევს და მონდომებასაც მმატებს.

**— „ალანია“ შენი წამოსვლისთვის საფასურს ითხოვდა. ასეთივე დღეში იყო გუჯაბიძეც, მაგრამ იგი „როსტსელმაშმა“ ჩვენი II ლიგის „კოდაკოს“ ათხოვა. შენ არ გქონია ასეთი ვარიანტი?**

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „გორდა“ უეფას თასზე გავიდოდა.

**— ბუნებრივია, შენი მდგომარეობა იციან ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელებმა. თუ დაგეხმარნენ რაიმეთი.**

— არავინაც არ დამხმარებია. მხოლოდ ძოწუაშვილი ცდილობდა, მხარში ამომდგომოდა — ფინანსურადაც მეხმარებოდა და, ტრავმები რომ მოვიშუშე, ამაშიც დიდად ვემადლიერები. ხომ შეიძლებოდა, ნაკრების რომელიმე ხელმძღვანელი დაინტერესებულიყო ჩემი გასაჭირით? მაგრამ ჩემთან არავინაც არ მოსულა. ერთადერთი ვოვა პანოვი წუხდა ჩემს გამო. რა თქმა უნდა, გული მატკინა ასეთმა უყურადღებობამ. ფეხბურთელისთვის ეს ძნელი ყოფილა. შეიძლება, არ გამოხატო, მაგრამ ხომ განიცდი...

**— რა სახით შეეძლოთ მათ დახმარება?**

— რომელიმე გუნდში დროებით რომ მეთამაშა, ეს კი შეეძლოთ. ვერ ვიტყვი, ჩივაძეს გაზაევთან რომ დაერეკა, „ალანიადან“ უფასოდ გამიშვებდნენ-მეთქი, მაგრამ მდგომარეობას ოდნავ მაინც შეცვლიდა.

სხვათა შორის, ერთხელ ახალკაცმა გაზაევს დაურეკა, ბიჭი უგუნდოდ არის დარჩენილი და რას უპირებო? გაზაევმა უთხრა — ჩამოვიდეს და დაველაპარაკებიო. ჩასვლას რომ ვაპირებდი, სწორედ მაშინ მოვხვდი ავტოავარიაში.

**— „ალანიაში“ ქართველები ერთი ხანობა დიდ პატივში იყავით. მერე ყაველაშვილი „სიტიში“ გადავიდა, დარჩენილებს, შელიას გარდა, გაზაევთან კონფლიქტები გქონდათ და გუნდს ერთი ქართველიღა შერჩა. ამბობენ, ჯამარაული იმიტომ ვერ გაიხსნა „ალანიაში“, რომ ძალიან ცივად შეხვდნენო...**

— ვის გულისხმობ — მოთამაშეებს თუ ხელმძღვანელებს?

**— მოთამაშეებს.**

— მართალია. მათ გოჩა ისე არ მიიღეს, როგორც ჩვენ, ადრე ჩასული ქართველები. მაგრამ ხელმძღვანელებზე ამას ვერ ვიტყვი. გაზაევს მისი დიდი იმედიც ჰქონდა. თავიდან გოჩამაც კარგად ითამაშა, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, არავინ იცის, ფაქტი კი ისაა, რომ გოჩამ „ალანია“ დატოვა.

**— ხომ არ ნანობ „ალანიადან“ წამოსვლას?**

— რომ დავრჩენილიყავი, ისე გამოდიოდა, რომ ყველაფერზე თანახმა ვიყავი. ხვეწნა-მუდარა კი არ მჩვევია. ამიტომაც წამოვედი და არც ვნანობ.

**მერაბ მამულაშვილი**

**ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო**

## ცაავა კვლავ ბრუნდება?

ზესტაფონის „მარგვეთის“ მთავარი მწვრთნელის ნოდარ კიკნაძის თქმით, ამჟამად გუნდი მოლაპარაკებას აწარმოებს გრიგოლ ცაავასთან, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია, მოედანზე არ გამოსულა. „მართალია, ცაავას დიდი ხანია არ უთამაშია, მაგრამ მჯერა, რომ ძლიერ გამოგვადგება. გრიშაც თანახმაა გადმოსვლაზე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ წამოყენებულ პირობებს შევუსრულებთ. ცაავას გარდა, ფოთელი ზაზა ინიაშვილისა და გორელი ვანო ხორგუაშვილის დამატებაც გვსურს. მათ გადმოსვლა-არგადმოსვლაც პირობების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული“.

ნოდარ კიკნაძემ ისიც გვითხრა, რომ ცაავასთვის მალხაზ ლაცაბიძესაც შეუთავაზებია „ივერიაში“ გადასვლა, მაგრამ ყოფილ დინამოელს უარი განუცხადებია.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას „მარგვეთიდან“ მოთამაშეთა შესაძლო წასვლის შესახებ, ნოდარ კიკნაძეს იმედი აქვს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება და ფეხბურთელებს შეინარჩუნებს. წასვლის მსურველთა შორის ვეფხია გვენცაძეცაა.

## ინგლისი

### XVIII ტური

### ასტონ ვილა 5:0 უიმბლდონი

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, ნელსონი (ტაილერი 74), რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, შიმეცა, თაუნსენდი, ტეილორი, დრეიპერი (ჩურჩიჩი 79), მილოშევიჩი, იორკი
**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი (ფოლდსტური 67), კიმბლი, ჯოუნზი, ბლექველი, პერი (მაკალისტერი 84), ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ, ერდლი, გეილი
**გოლი:** მილოშევიჩი (42, 75), ტეილორი (61), იორკი (38, 86)
**გაფრთხილება:** ჩურჩიჩი, კიმბლი

# «ბლექბერნი» ავად გახდარა

ლონდონელთა საშინელი მარცხი წაუგებელ მატჩთა სერიის შემდეგ. „უიმბლდონს“ ცუდად აქვს დაცდილი ბირმინგემში თამაში: ორი წლის წინათ „ასტონ ვილასგან“ 1:7 იგემა, თანაც მსაჯმა მასპინძლებს სამი გოლი არ ჩაუთვალა. ამჟამინდელმა გამარჯვებამ გაამყარა „ასტონ



ასტონ ვილა — უიმბლდონი ტეილორს ლონდონელთა კარში მესამე გოლი გააქვს

ვილას“ საჩემპიონო შანსები. 38-ე წუთზე კანინგემმა უხეიროდ მიაწოდა მეკარეს, იორკმა კი ჩაჭრა და სეზონში მეათე გოლიც შეაგდო. ოთხ წუთში ბოსნიელმა სერბმა მილოშევიჩმა ივარგა და ტაიმიც ასე დასრულდა. მეორე ნახევარში მასპინძელთა დიდი უპირატესობა გოლებშიც აისახა: 61-ე წუთზე ტეილორმა დაამატა მილოშევიჩის დარტყმულს და მესამედ გაუტანა სალივანს, მალე ისევ მილოშევიჩის დარტყმული ბურთი ბლექველის ფეხიდან ასხლტა და კარში შევარდა, მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე კი ტრინიდადელმა დუაიტ იორკმა ამ სეზონის მეთორმეტე მატჩში მეთერთმეტედ გაიტანა.

### ჩელსი 3:1 ვესტ ჰემი

**ჩელსი:** გროდასი, პეტრესკუ, გულიტი, კლარკი, ჰიუზი, დაბერი, ბარლი (სინკლერი 83), დი მატეო, ნიუტონი, ძოლა, კლემენტი (მაიერსი 58)
**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, დიქსი, ბიშოპი (ლამპარდი 83), რიპერი, როულენდი (რადუჩოუ 46), პორფირიო, მონკური (უილიამსონი 78), ნევილი, ბოუენი, ჰიუზი, ბილიჩი
**გოლი:** ჰიუზი (6,35), ძოლა (10), პორფირიუ (11)
**გაფრთხილება:** დაბერი, კლემენტი, პეტრესკუ, როულენდი, პორფირიუ

2 ნოემბერს მანჩესტერში „იუნაიტედის“ დამარცხების შემდეგ „ჩელსიმ“ პირველად გაიმარჯვა. თამაშის შემდეგ ლონდონურ დერბიში „ჩელსის“ გამარჯვება ერთხმად მიიჩნიეს ჰიუზისა და ძოლას დამსახურებად. პირველი ნახევარი, მეორესგან განსხვავებით, ძალზე ლამაზი სანახავი იყო. უელსელმა ჰიუზმა მე-6 წუთზევე გამოატანინა კარიდან ბურთი მიკლოშკოს, რომელსაც ტრავმის გამო ორი მატჩი არ ეთამაშა. მე-8 წუთზე მეორე გოლის გატანა შეეძლო დი მატეოს, თუმცა მისი დარტყმული მეკარემ ადვილად მოიგერია. მე-10 წუთზე კი ძოლა მის წინ ეულად მყოფ დიქსს გასცდა და სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა. მასპინძლები ჯერაც გატანილ გოლს ხარობდნენ, როცა დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან პორტუგალიელმა უგო პორფირიუმ სხვაობა მინიმალური გახადა. 11 წუთში სამი გოლი! 29 ათასი მაყურებელი ამას ნამდვილად არ ელოდა. თამაშის ტემპიც თანდათან მატულობდა და 35-ე წუთზე ჰიუზმა, რიპერს და ბოუენს რომ აჯობა, მესამეც გაუტანა სტუმრებს.

### ევერტონი 0:0 ლიდსი

**ევერტონი:** საუთჰოლი, ბარეტი, უოტსონი, შორტი (ანსუორთი 43), ჰინჩკლიფი (ბრენჩი 62), კანჩელსკისი, პარკინსონი, გრანტი, სპიდი, ბარმბი, ფერგიუსონი
**ლიდსი:** მარტინი, კელი, პალმერი, რადებე (ჯექსონი 36), უეზეროლი, შარპი, რაში, დინი, ბოუერი, ბიხლი, ჰეილი
**გაფრთხილება:** ანსუორთი, ჰეილი, კელი

ლიდსელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათი დაცვა ერთ-ერთი ძლიერთაგანია პრემიერლიგაში. „ლიდსმა“ ეს უკვე ზედიზედ მეხუთე მატჩი ითამაშა სტუმრად. ერთი გოლიც არ გაუშვა. ეს მათი რეკორდია პრემიერლიგაში. ლივერპულელებმა ნიკ ბარმბიმ და დანკან ფერგიუსონმა ვერაფერი გაახერხეს სტუმართა დაცვასთან, ჰოდა, მარტინიც პირველ ტაიმში საუთჰოლზე უფრო მოცლილი გახლდათ. პირველი ნახევრის დამთავრებამდე კანჩელსკისმა ზედიზედ ორი მომენტი გააცუდა: პირველად მარტინმა აუღო, მეორედ კი თავად გადააცილა კარს. მეორე ტაიმში საუთჰოლთან პირისპირ გასულმა დინმა ვერ ივარგა. „ევერტონის“ თითქმის ყველა შეტევა „ლიდსის“ დაცვის „მსხვერპლი“ ხდებოდა. მომენტების გამოუყენებლობამ მასპინძელთა ფორვარდები, ეტყობა ფსიქოლოგიურად მოშალა, რადგან მერე და მერე ყოვლად უაზრო შეცდომების დაშვება დაიწყეს.

### ლესტერი 0:2 ქოვენთრი

**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, კამარკი, ჰილი (პარკერი 77), პრაიორი, მარშალი, ლენონი, იზეტი, ტეილორი, კლარიჯი, ჰესკი
**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, უილიამსი, დეიში, რიჩარდსონი, ვილანი, დაბლინი, მაკალისტერი, სალაკო, ტელფერი, ჰაკბერი (ჯესი 89)
**გოლი:** დაბლინი (12, 72)

დიონ დაბლინმა ამ მატჩში ორჯერ მიიტანა იერიში „ლესტერის“ კარზე და ორჯერვე დალაშქრა იგი. დაცვაში მოთამაშე დაბლინმა ბოლო ექვს შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა. სტუმართა გამარჯვება მრავალმხრივ სასიამოვნო იყო მათთვის — კლუბმა ამ სეზონში პირველად მოიგო სტუმრად, ბოლო 15 წლის მანძილზე პირველად იმარჯვა „ფილბერ სტრიტზე“ და პრემიერლიგის მაჩანჩალათა სამეულსაც დააღწია თავი. ეტყობა, წინა ტურში „ნიუკასლთან“ მოგებამ „ქოვენთრის“ ფეხბურთელები საკუთარ ძალებში დაარწმუნა და მათაც ზედიზედ მეორედ იმარჯვეს სტრაჩანის თავკაცობით. პირველ ნახევარში უპირატესობა „ლესტერისა“ იყო, თუმცა მე-12 წუთზე მაკალისტერის კუთხურს დაბლინმა ზუსტი თაური დაურთო. სტუმრებს კიდევ ორჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდებმა ჰაკერბიმ და ვილანმა ბოლოს ვერ ივარგეს. 49-ე წუთზე ჰესკიმ გათანაბრების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან, 72-ე წუთზე კი დაბლინმა მაკალისტერის დროული პასით ისარგებლა და მეორე გოლი გაიტანა.

### მანჩესტერი 5:0 სანდერლენდი

**იუნაიტედი:** შმაიხელი, გ.ნევილი, ირვინი, მეი, პალისერი (მაკლეირი 46), კანტონა, ბუთი, გიგზი (ტორნლი 63), ფ.ნევილი, სქოულზი, სოლსკიაერი (პობორსკი 54)
**სანდერლენდი:** პერესი, ჰელი, კუბიჩკი, ბრაისველი (ეგნიუ 63), ბოლი, გრეი (ბრიჯისი 60), კელი, ორდი, მელვილი, რეი (სტიუარტი 63), რასელი
**გოლი:** ბუთი (59), კანტონა (43პ, 80), სოლსკიაერი (35, 48)
**გაფრთხილება:** სქოულზი, კანტონა, პერესი

„სანდერლენდმა“ პიტერ რიდის თავკაცობით ყველაზე მწარე მარცხი იწვნია, კანტონამ კი ულამაზესი სოლო რეიდებით მოხიბლა 55 ათასი მაყურებელი. მასპინძელთა უპირატესობა უაშკარავესი იყო. სტუმრებმა მხოლოდ მე-13 წუთზე დაარტყეს შმაიხელის კარში. „სანდერლენდმა“ ტაიმის ნახევარი ძლივს გაძლო, შემდეგ კი სტუმრებს პირობითად თუ ეთქმოდათ გუნდი. 35-ე წუთზე გიგზის პასის შემდეგ სქოულზმა ძლიერად დაარტყა, პერესმა მოიგერია, სოლსკიაერმა კი შედეგიანად დაამატა. მერე კანტონამ პენალტი შეაგდო. მასპინძლებმა მეორე ნახევარშიც ილაღეს. თამაში 3 წუთის განახლებული იყო, სოლსკიაერმა რომ დუბლი გააფორმა: შმაიხელმა ძლიერად დარტყმული კუბიჩკის უხეიროდ მოიგერია, ნორვეგიელმა კი სხვაობა სამამდე გაზარდა. 59-ე წუთზე „იუნაიტედის“ გამუდმებულ შეტევებს კუთხური მოჰყვა. გიგზის ჩაწოდებული ბუთმა თაურით შეაგდო. თამაშის ტემპი თანდათან განელდა. თუმცა კანტონამ ვერ მოისვენა და პერესს მეხუთედაც გამოაღებინა ბადიდან ბურთი.

### ნოტინგემი 2:1 არსენალი

**ნოტინგემი:** კროსლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, სონდერსი, კემპელი, უენი, იერკანი (ლიტლი 85), ალენი, ჰაალანდი, როუ (კლაფი 65)
**არსენალი:** ლუკიჩი, უინტერბერნი, ბოულდი, პლატი, რაიტი, მერსონი, ბერხკამპი (პართსონი 74), ლინიგენი, კოუნი, გერდი (მოროუ 78), მაკგოუენი (პარლოუ 69)
**გოლი:** რაიტი (63), ჰაალანდი (67, 89)
**გაძევება:** რაიტი (70)

ლიდერობის შესანარჩუნებლად ლონდონელებს გამარჯვება სჭირდებოდათ, მაგრამ ჰაალანდმა საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე შეაგდო და სტუმრები შინ ხელცარიელი გაუშვა. 28 ათასმა მაყურებელმა პირსის ბრწყინვალე თამაში იხილა. მასპინძლებმა პირველი ტურის შემდეგ პირველად გაიმარჯვეს. „არსენალის“ ძირითადში პირველად გამოჩნდა „სტრასბურიდან“ გადასული გერდი, ვინაც დისკვალიფიცირებულ ვიეირას ნაცვლად ითამაშა. ლონდონელები სახიფათო კონტრშეტევებით აბნევდნენ მასპინძლებს. რაიტი, პლატი, მერსონი, ბერხკამპი ძალზე სახიფათოდ და ძლიერად ურტყამდნენ, თუმცაღა ვერაფერი მოუხერხეს პირსს, რომელიც სამი კაცის სამუშაოს ასრულებდა. მეორე ნახევარში რაიტმა კი გაიტანა, მაგრამ „არსენალმა“ ლიდერობა ვერ შეიფერა და ჰაალანდმა ორიოდ წუთში გაათანაბრა. მეტოქეები უკვე ქულისთვის ზრუნავდნენ, რომ რაიტი გააძევეს, „ნოტინგემსაც“ უპირატესობა მიეცა, გახშირდა კიდეც შეტევები ლუკიჩის კართან და ბოლო წუთზე იმავე ჰაალანდმა დუბლი შეასრულა.

### ტოტენჰემი 1:1 შეფილდი

**ტოტენჰემი:** უოქერი, ჰოუელსი, კალდერვუდი, ფოქსი, ნილსენი, შერინგემი, უილსონი, ივერსენი, კემპელი (ხკეილსი 85), კარი, სინტონი
**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოქერი, ვითინგემი (ჰამფრიზი 87), კარბონე, ბუთი (შერსი 74), ნიკოლი, ტრასტფული (ბლინკერი 65), სტეფანოვიჩი
**გოლი:** ნოლანი (16), ნილსენი (29)
**გაფრთხილება:** კალდერვუდი, შერინგემი

„შეფილდმა“ ბოლო ცხრა შეხვედრაში მეშვიდედ ითამაშა ფრედ. მასპინძელთა რიგებში კვლავაც არ იყო ტრავმირებული დარენ ანდერტონი. ორივე კლუბის მცველებმა აშკარად აჯობეს თავდამსხმელებს, ტემპიც ვერ იყო მაღალი. აშკარად სუსტი იყო კარბონე, ინგლისელთა ნაკრების კანდიდატმა პრესმენმა კი მართლაც ჩინებულად ითამაშა და არაერთხელ გადაარჩინა თავისიანები. მე-16 წუთზე ნოლანმა ცაციათი უძლიერესად დაარტყა და სტუმრები დააწინაურა, ისინიც დაცვაში ჩასხდნენ და კიდევ ერთ შანსს ისე დაელოდნენ, მაგრამ არ დასცალდათ — 29-ე წუთზე თანაფარდობა აღდგა: ინგლისის ნაკრების ფორვარდმა ტედი შერინგემმა მარჯვნიდან ჩააწოდა, ივერსენმა კარგად დაუგდო ნილსენს, ამას კი ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

### საუთჰემპტონი 3:1 დერბი

**საუთჰემპტონი:** ბიზანტი, სლეიტერი, მედისონი, დრეიდენი (მეჯილტონი 8), ლუნდეკვამი, ბენალი, ოუკლი (ჰიუზი 85), ჩარლტონი, ბერკოვიჩი, ოსტენსტადი, უოტსონი (ბეშემი 89)
**დერბი:** პოულტი, ლაურსენი (კერსლი 45), ს.პაუელი, როუეტი, იატსი (გაბიადინი 45), შტიმაცი, ფრინი, ასანოვიჩი (ვილემსი 73), დ.პაუელი, დეილი, უორდი
**გოლი:** დეილი (8), უოტსონი (9), ოუკლი (13), მეჯილტონი (89 პ)
**გაფრთხილება:** გაბიადინი, როუეტი, ბენალი, სლეიტერი

მასპინძლებმა შეწყვიტეს ხუთმატჩიან წაგებათა სერია. „საუთჰემპტონს“ სტარიჯი, ლე ტისიე და მაკგრათი აკლდათ, მაგრამ „დერბი“ მაინც დაამარცხეს, თუმცა შეხვედრის დასაწყისი მათთვის არასასურველი გამოდგა. მე-8 წუთზე შეიცვალა ცენტრალური მცველი დრეიდენი, რამდენიმე წამში კი დეილიმ ბიზანტს გოლი შეუგდო. სტუმრებს სიხარული უმალ ჩაუმწარა უოტსონმა, ვინაც ბერკოვიჩის პასით ანგარიში გაათანაბრა, გაყიმების შემდეგ 4 წუთში კი ოუკლიმ თავისიანები დააწინაურა: სლეიტერის ჩაწოდების შემდეგ მან ბრწყინვალე თაურით მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა. შემდგომ ორივე გუნდს შეეძლო ეხეირა, მაგრამ თავდამსხმელები სცოდავდნენ. მეორე ნახევარი პირველზე წყნარად დაიწყო და თამაში მერეც ასევე გაგრძელდა. გუნდები უნიათოდ ირჯებოდნენ და ბურთიც მეტწილ ცენტრში ტრიალებდა, თუმცა 89-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა მეჯილტონმა ჰიუზის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა და ბოლო მოუღო „დერბის“.

### ბლექბერნი — მიდლსბრო

„ბლექბერნის“ შვიდი ფეხბურთელის ავადმყოფობის გამო მატჩი გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 18 | 11 | 4 | 3 | 35:17 | 37 |
| არსენალი | 18 | 10 | 5 | 3 | 34:18 | 35 |
| უიმბლდონი | 18 | 10 | 4 | 4 | 30:22 | 34 |
| ასტონ ვილა | 18 | 10 | 3 | 5 | 27:15 | 33 |
| მანჩესტერი | 18 | 8 | 7 | 3 | 37:25 | 31 |
| ნიუკასლი | 17 | 9 | 3 | 5 | 27:19 | 30 |
| ევერტონი | 18 | 7 | 7 | 4 | 26:20 | 28 |
| ჩელსი | 18 | 7 | 7 | 4 | 28:27 | 28 |
| შეფილდი | 18 | 6 | 8 | 4 | 19:20 | 26 |
| ტოტენჰემი | 18 | 7 | 4 | 7 | 18:18 | 25 |
| დერბი | 18 | 5 | 7 | 6 | 20:23 | 22 |
| ლიდსი | 18 | 6 | 4 | 8 | 15:20 | 22 |
| ლესტერი | 18 | 6 | 3 | 9 | 17:24 | 21 |
| სანდერლენდი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:26 | 20 |
| ვესტ ჰემი | 18 | 4 | 6 | 8 | 16:25 | 18 |
| ს.ჰემპტონი | 18 | 4 | 4 | 10 | 27:32 | 16 |
| ქოვენთრი | 18 | 3 | 7 | 8 | 14:24 | 16 |
| მიდლსბრო | 18 | 3 | 6 | 9 | 21:33 | 15 |
| ბლექბერნი | 17 | 2 | 7 | 8 | 16:22 | 13 |
| ნოტინგემი | 18 | 2 | 7 | 9 | 16:30 | 13 |

## პირველი დივიზიონი

### XXIV ტური

### ოლდემი 2:1 სიტი

**სიტი:** მარგეტსონი, მაკგოლდრიკი, როჯერი, ლომასი, საიმონსი, ბრაითველი, სამერბი (ყაველაშვილი 77), უაიტლი (კრუქსი 81), დიკოვი, ქინქლაძე, როსლერი
**გოლი:** ქინქლაძე (37), ორმონდროიდი (63), ბანგერი (72)

ორი მოგების შემდეგ გიოს გუნდი კვლავ დამარცხდა. 25-ე წუთზე ქართველმა ლეგიონერმა პენალტი ვერ შეაგდო — კელიმ კუთხე გამოიცნო და ბურთს იქ დახვდა, თუმცა 37-ე წუთზე გიომ თავისი მაინც გაიტანა. მეორე ტაიმის 9-წუთიან ინტერვალში მასპინძლებმა ორი გოლი შეაგდეს და სასურველი შედეგი ბოლომდე შეინარჩუნეს. „სიტი“ კი მორიგი მარცხის შემდეგ ცხრილში კვლავ დაქვეითდა.

ლაშა გოდუაძე

**სხვა მატჩები:** სვინდონი — ბოლტონი 2:2, კრისტალ პალასი — ჩარლტონი 1:0, გრიმსბი — ბრედფორდი 1:1, ჰადერსფილდი — ქუინზ პარკი 1:2, იფსვიჩი — სტოკ სიტი 1:1, პორტ ვეილი — ნორვიჩი 6:1, რედინგი — პორტსმუთი 0:0, შეფილდ იუნაიტედი — ბარნსლი 0:1, ტრანმერი — ვულვერჰემპტონი 0:2, ვესტ ბრომვიჩი — ოქსფორდი 3:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნსლი | 23 | 12 | 8 | 3 | 42-26 | 44 |
| ბოლტონი | 24 | 11 | 10 | 3 | 48-34 | 43 |
| შეფილდი | 24 | 12 | 6 | 6 | 40-25 | 42 |
| კ.პალასი | 24 | 10 | 9 | 5 | 48-24 | 39 |
| ვულვზი | 23 | 10 | 6 | 7 | 31-22 | 36 |
| ოქსფორდი | 24 | 9 | 7 | 8 | 34-25 | 34 |
| ქუინზ პარკი | 24 | 9 | 8 | 8 | 31-29 | 34 |
| სტოკ სიტი | 22 | 9 | 7 | 6 | 30-31 | 34 |
| პორტ ვეილი | 24 | 8 | 10 | 6 | 28-24 | 34 |
| ნორვიჩი | 23 | 9 | 6 | 8 | 30-33 | 33 |
| ბირმინგემი | 23 | 8 | 9 | 6 | 24-22 | 33 |
| ტრანმერი | 24 | 9 | 5 | 10 | 37-49 | 32 |
| სვინდონი | 24 | 9 | 3 | 12 | 34-32 | 30 |
| იფსვიჩი | 24 | 7 | 9 | 8 | 30-34 | 30 |
| პორტსმუთი | 24 | 8 | 6 | 10 | 28-30 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 6 | 11 | 6 | 36-37 | 29 |
| ჩარლტონი | 23 | 9 | 2 | 12 | 24-33 | 29 |
| ჰადერსფილდი | 24 | 7 | 7 | 10 | 27-33 | 28 |
| რედინგი | 24 | 7 | 7 | 10 | 25-33 | 28 |
| სიტი | 23 | 8 | 2 | 13 | 27-37 | 26 |
| ოლდემი | 24 | 6 | 8 | 10 | 26-29 | 26 |
| საუთენდი | 24 | 5 | 10 | 9 | 24-41 | 25 |
| ბრედფორდი | 24 | 5 | 8 | 11 | 22-38 | 23 |
| გრიმსბი | 23 | 5 | 7 | 11 | 25-42 | 22 |

## ბელგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-18 ტური. ლიერსი — მოლენბეკი 2:1; გენტი — ეკერენი 2:0; გენკი — ლოკერენი 0:1; ანტვერპენი — შარლერუა 2:1; ანდერლეხტი — აალსტი 3:0; სენტ-ტრუიდენი — სტანდარდი 2:0; მუსკრონი — ლომელი 3:0; ჰარელბეკე — ბრიუგე 2:0; სერკლ ბრიუგე — მეხელენი 1:2 (გადამწყვეტი გოლი რქვიო არველაძემ გაიტანა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუსკრონი | 18 | 11 | 5 | 2 | 34:16 | 38 |
| ბრიუგე | 18 | 11 | 4 | 3 | 36:19 | 37 |
| ლიერსი | 18 | 9 | 7 | 2 | 29:17 | 34 |
| ჰარელბეკე | 18 | 10 | 3 | 5 | 32:20 | 33 |
| სტანდარდი | 18 | 11 | 0 | 7 | 32:22 | 33 |
| ანდერლეხტი | 18 | 8 | 7 | 3 | 29:13 | 31 |
| ანტვერპენი | 18 | 10 | 1 | 7 | 32:30 | 31 |
| ლომელი | 18 | 8 | 5 | 5 | 28:28 | 29 |
| გენტი | 18 | 7 | 3 | 8 | 30:35 | 24 |
| ლოკერენი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:28 | 23 |
| მოლენბეკი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:23 | 22 |
| გენკი | 18 | 4 | 8 | 6 | 19:24 | 20 |
| შარლერუა | 18 | 5 | 3 | 10 | 24:29 | 18 |
| მეხელენი | 18 | 4 | 6 | 8 | 18:27 | 18 |
| ეკერენი | 18 | 4 | 4 | 10 | 21:31 | 16 |
| სტ.ტრიუდენი | 18 | 3 | 6 | 9 | 24:37 | 15 |
| აალსტი | 18 | 2 | 8 | 8 | 21:34 | 14 |
| სერკლ ბრიუგე | 18 | 1 | 5 | 12 | 17:39 | 8 |

## საფრანგეთი

23-ე ტური. ბასტია — ბორდო 3:1 (დრობნიაკი 19, პერესი 25, მორო 45; ტოლო 40); ლანსი — მონაკო 1:3 (კამარა 61; იკპება 21, გრიმანდი 32, ანდერსონი 44); პ.ს.ჟ. — მონპელიე 1:1 (ლოკო 40; ბაკაიოკო 77); ოსერი — სტრასბური 0:1 (ოკპარა 69); მეცი — კანი 2:2 (ოიაოლე 65, ბლანშარი 70; დებენა 38, გერირო 60); ლიონი — ნანტი 0:1 (ლე რუ 88); რენი — მარსელი 4:2 (გივარში 27, 63, 80 პ, ანდრე 58; გრაველინი 29, 45) კანი — გინგამი 1:0 (კომბალი 90); ნიცა — ლილი 1:1 (პოტიე 35; ბიტოტო 65); ლე ავრი — ნანსი 1:3 (ბოლი 2; კასკარინო 25, 47, 77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 23 | 14 | 6 | 3 | 40:17 | 48 |
| პ.ს.ჟ. | 23 | 12 | 8 | 3 | 35:16 | 44 |
| ბასტია | 23 | 12 | 6 | 5 | 33:24 | 42 |
| ბორდო | 23 | 10 | 7 | 6 | 33:26 | 37 |
| სტრასბური | 23 | 12 | 1 | 10 | 28:30 | 37 |
| მეცი | 23 | 9 | 9 | 5 | 25:19 | 36 |
| ოსერი | 23 | 9 | 8 | 6 | 28:17 | 35 |
| ნანტი | 23 | 8 | 10 | 5 | 42:25 | 34 |
| ლიონი | 23 | 8 | 8 | 7 | 30:34 | 32 |
| რენი | 23 | 9 | 4 | 10 | 29:32 | 31 |
| მარსელი | 23 | 7 | 9 | 7 | 24:22 | 30 |
| გინგამი | 23 | 7 | 8 | 8 | 18:20 | 29 |
| ლილი | 23 | 7 | 8 | 8 | 24:33 | 29 |
| კანი | 23 | 7 | 7 | 9 | 15:23 | 28 |
| ლე ავრი | 23 | 6 | 7 | 10 | 23:28 | 25 |
| ლანსი | 23 | 7 | 4 | 12 | 26:38 | 25 |
| მონპელიე | 23 | 4 | 10 | 9 | 19:26 | 22 |
| კაენი | 23 | 4 | 8 | 11 | 18:28 | 20 |
| ნანსი | 23 | 4 | 7 | 12 | 19:30 | 19 |
| ნიცა | 23 | 4 | 5 | 14 | 19:40 | 17 |

## ესპანეთი

მე-17 ტური. ბილბაო — ექსტრემადურა 0:0; ბარსელონა — სელტა 1:0 (ნადალი 43); სპორტინგი — დეპორტივო 1:1 (სალინასი 24; რივალდო 10); ლოგრონიესი — რაიო 0:2 (კლიმოვიჩი 42, 70); კომპოსტელა — ოვიედო 0:2 (დუბოვსკი 15, მაკედა 24); სარაგოსა — რასინგი 0:2 (შურერი 10, ბესჩასტნიხი 77); ატლეტიკო — სოსიედადი 2:2 (ესნაიდერი 31, კიკო 62; დე პაულა 24, კრაიოვეანუ 4); ტენერიფე — ესპანიოლი 5:1 (ფელიპე 40, 45, 90, ჩანო 67, 70; სავი გარსია 85); სევილია — ბეტისი 0:3 (ტრულიო 40 პ, ალფონსო 56, ოლიასი 58); ვალიადოლიდი — რეალი 1:1 (ალკორტა 58 საკ. კარში; შუკერი 16)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 17 | 11 | 6 | 0 | 34:13 | 39 |
| ბარსელონა | 17 | 11 | 4 | 2 | 47:21 | 37 |
| დეპორტივო | 17 | 10 | 7 | 0 | 25:8 | 37 |
| ბეტისი | 17 | 10 | 5 | 2 | 36:14 | 35 |
| ატლეტიკო | 17 | 8 | 5 | 4 | 29:20 | 29 |
| სოსიედადი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:21 | 28 |
| ბილბაო | 17 | 7 | 6 | 4 | 29:23 | 27 |
| ვალიადოლიდი | 17 | 7 | 5 | 5 | 21:20 | 26 |
| ტენერიფე | 17 | 7 | 4 | 6 | 31:19 | 25 |
| რასინგი | 17 | 6 | 7 | 4 | 18:17 | 25 |
| რაიო | 17 | 6 | 5 | 6 | 23:20 | 23 |
| სელტა | 17 | 6 | 5 | 6 | 19:19 | 23 |
| ვალენსია | 16 | 6 | 2 | 8 | 23:23 | 20 |
| ესპანიოლი | 17 | 5 | 4 | 8 | 21:25 | 19 |
| ოვიედო | 17 | 5 | 4 | 8 | 20:24 | 19 |
| სპორტინგი | 17 | 4 | 5 | 8 | 17:23 | 17 |
| კომპოსტელა | 17 | 4 | 4 | 9 | 14:31 | 16 |
| ლოგრონიესი | 17 | 4 | 3 | 10 | 12:40 | 15 |
| სარაგოსა | 17 | 2 | 8 | 7 | 18:28 | 14 |
| სევილია | 17 | 4 | 2 | 11 | 13:26 | 14 |
| ერკულესი | 16 | 3 | 2 | 11 | 14:29 | 11 |
| ესტრემადურა | 17 | 1 | 5 | 11 | 9:31 | 8 |

## იტალია

XIV ტური

### ნაპოლი 1:0 ლაციო

60 000 მაყურებელი
ნაპოლი: ტალიალატელა, კოლონეზე, მილანეზე, ბოლოხიანი (გალო82), ბალდინი, აიალა, ტურინი (ეხპოზიტო 65), პეკია, ალიეტი, კრუზი, კაჩა (ბეტო 65)
ლაციო: მარკეჯანი, შამოტი, ფავალი, ოკონი, ფიში, გრანდონი, რამბაუდი (ბუზო 83), ფუზერი (პიოვანელი83), კაზირაგი, ნედვედი, პროტი
გოლი: კრუზი (91)
გაფრთხილება: აიალა, ფავალი, ნედვედი, გრანდონი

### მილანი 0:1 პარმა

50 000 მაყურებელი
მილანი: პაგოტო, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოხტაკურტა, ბარეზი, ბობანი, დეხაი, ვეა (ხავიჩევიჩი29), დევიდხი (ამბროზინი 46; ხიმონე 85), დუგარი
პარმა: ბუფონი, ზემარია, მუხი, ხენხინი, ტურამი, კანავარო, ხტანიჩი, დ. ბაჯო, კიეზა (მელი 81), კრიპა, კრეხპო (ბრავო 73)
გოლი: ხტანიჩი (45)
გაფრთხილება: ხტანიჩი
გაძევება: კოხტაკურტა (62)

### პიაჩენცა 1:1 იუვენტუსი

25 000 მაყურებელი
პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, ტრამეძანი (ტენტონი 62), პარი, მ. კონტე (დელი კარი 71), ლუჩი, დი ფრანჩესკო, ვალოტი, ლუიზო, შიენცა (მორეტი 73), პიოვანი
იუვენტუხი: პერუცი, ტორიჩელი, დიმაში, ტაკინარდი, ფერარა, მონტერო, დი ლივიო (პადოვანო 58), ზიდანი (პესოტო 77), ბოკშიჩი, იუგოვიჩი, დელ პიერო (ლომბარდო 68)
გოლი: ლუჩი (59, ხაკ. კარში), დელი კარი (85)
გაფრთხილება: ვალოტი, კონტე, ლუჩი, ლუიზო, დიმაში
გაძევება: ტაკინარდი (74)

### რეჯანა 1:1 ინტერი

14 786 მაყურებელი
რეჯანა: ბალოტა, ხაბეუ (დენაპოლი 56), გროხი, მაცი, ბაიერხდორფერი, კაინი, პარენტე, პედონე, ვალენხია (მოცინი 49), პაშეკუ (ხიმუტენკოვი 73), მაცოლა
ინტერი: პალიუკა, ბერგომი, პისტონე (ანგლომა 46), ფრეხი (განცი 55), ფეხტა, მ. პაგანინი, ძანეტი, ინხი, ბრანკა, ჯორკაეფი (ბერტი 94), ხამორანო
გოლი: პაშეკუ (42), ჯორკაეფი (64)
გაფრთხილება: მაცი, პალიუკა
გაძევება: კაინი (24), ბრანკა (30), ინხი (90)

### სამპდორია 2:1 ვიჩენცა

24 000 მაყურებელი
ხამპდორია: ფეროնი, ბალერი, პეზარეზი, მანინი, ფრანჩეხკეტი, მიხაილოვიჩი, ლეგლი (ინვერნიცი 94), ვერონი, მონტელა (ხალხანო 78), მანჩინი, კარპარელი (ჯაკომინო 94)
ვიჩენცა: მონდინი, ხარტორი, ბეგეტო, დი კარლო, ბელოტი, ლოპეხი, ამბროზეტი (იანუცი 55), ვივიანი (მენდეხი 65), მურჯიტა, მაინი (მ.როხი 32), ოტერო
გოლი: მონტელა (15, 25), ოტერო (82 პ)
გაფრთხილება: ბეგეტო, ლოპეხი, დი კარლო, მანინი, მიხაილოვიჩი

### რომა 0:2 ატალანტა

46 739 მაყურებელი
რომა: ხტერჩელი, მორიერო, კარბონი, პეტრუცი, ალდაირი, ლანა, ტომაზი, ხტატუტო (ფონხეკა 46), ბალბო, ტერნი, დელვეკიო
ატალანტა: პინატო, მირკოვიჩი, რუხტიკო, ერერა, ხოტილი, კარერა, ხგრო, გალო (როტელა 87), ინძაგი, მორფეო (ფორტუნატო 67), ლენტინი
გოლი: ლანა (30, ხაკ. კარში), ინძაგი (36)
გაფრთხილება: ტერნი, მირკოვიჩი, რუხტიკო
გაძევება: ლენტინი (90)

### ვერონა 3:2 უდინეზე

12 000 მაყურებელი
ვერონა: ჯარდალბენი, ხივილია, ჯუნტა, ბაკი, ბარონი (დევიტიხი 90), ფატორი, ამეტრანო, ფიკადენტი (მანეტი 83), მანიერო, კოლუჩი (ორლანდინი 30), ძანინი
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო (პიერინი 50), ხერჯო, როხიტო, კალორი, ბია, კაპიოლი, დეზიდერი, ამორუზო, ხტროპა (გარგო 76), პოჯი (ალ. ორლანდო 89)
გოლი: პოჯი (18), მანიერო (47, 94), ხტროპა (54), ორლანდინი (62 პ)
გაფრთხილება: ფიკადენტი, მანიერო, ბერტოტო, ბია, კალორი, პიერინი

### ბოლონია 0:0 პერუჯა

23 000 მაყურებელი
ბოლონია: ანტონიოლი, კარდონე, მანგონე, ხენო, ტორიზი, დე მარკი, ნერვო (ბრეშიანი 66), შალიმოვი (მაროკი 76), ანდერხონი, ხკაპოლო, კოლივანოვი
პერუჯა: კოჩიჩი, კახტელინი (გატიზო 40), ტრავერზა, გორეტი, დიჩარა, კოტინი, გაუტიერი, მანიგონე, პიცი, კრეკი, რიპაიჩი (ტეხტინი 78)
გაფრთხილება: მანგონე, ხენო, ტორიზი, გატიზო, მანიგონე, გორეტი, კახტელინი

### ფიორენტინა 2:0 კალიარი

35 000 მაყურებელი
ფიორენტინა: ტოლდო, პიაჩენტინი, პადალინო, კოიხი, ფალკონე, პუშედუ, ოლივეირა (მ. ორლანდო 85), შვარცი, ბატიხტუტა, რუი კოშტა, რობიატი
კალიარი: პაჰკოლო, ბიზოლი (ლონხტრუპი 8), ვეგა, პანცარო, ვილა, ბეტარინი, ბერეტა (ტოვალიერი 69), ხანა, ონილი, მუცი, ხილვა
გოლი: ბატიხტუტა (65), რობიატი (81)
გაფრთხილება: ბეტარინი, ხანა, ვილა, კოიხი, შვარცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 14 | 8 | 5 | 1 | 21:11 | 29 |
| ვიჩენცა | 14 | 6 | 5 | 3 | 23:15 | 23 |
| ნაპოლი | 14 | 6 | 5 | 3 | 18:17 | 23 |
| სამპდორია | 14 | 6 | 4 | 4 | 22:15 | 22 |
| ბოლონია | 14 | 6 | 4 | 4 | 22:18 | 22 |
| ინტერი | 14 | 5 | 7 | 2 | 20:16 | 22 |
| მილანი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:16 | 21 |
| ფიორენტინა | 14 | 5 | 6 | 3 | 21:16 | 21 |
| რომა | 14 | 5 | 5 | 4 | 21:18 | 20 |
| ლაციო | 14 | 5 | 4 | 5 | 14:13 | 19 |
| პარმა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:14 | 18 |
| უდინეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 19:20 | 18 |
| ატალანტა | 14 | 4 | 5 | 5 | 18:21 | 17 |
| პერუჯა | 14 | 5 | 2 | 7 | 18:23 | 17 |
| პიაჩენცა | 14 | 4 | 5 | 5 | 15:21 | 17 |
| კალიარი | 14 | 2 | 5 | 7 | 16:23 | 11 |
| ვერონა | 14 | 2 | 4 | 8 | 16:28 | 10 |
| რეჯანა | 14 | 0 | 6 | 8 | 11:26 | 6 |

### სერია B

მე-15 ტური. ფოჯა — ჩეზენა 0:0; ლეჩე — ბრეშია 0:0; ლუკეზე — ბარი 1:1; პადოვა — ჯენოა 1:1; პალერმო — კრემონეზე 1:1; პესკარა — ემპოლი 0:0; რავენა — ხალერნიტანა 2:0; რეჯინა — კიევო 1:1; ტორინო — დი ხანგრო 1:0; ვენეცია — კოზენცა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 15 | 9 | 5 | 1 | 26:15 | 32 |
| პესკარა | 15 | 7 | 6 | 2 | 21:12 | 27 |
| ბარი | 15 | 5 | 9 | 1 | 21:11 | 24 |
| რავენა | 15 | 6 | 6 | 3 | 19:15 | 24 |
| ბრეშია | 15 | 6 | 6 | 3 | 18:14 | 24 |
| ტორინო | 15 | 6 | 4 | 5 | 18:17 | 22 |
| ემპოლი | 15 | 6 | 4 | 5 | 17:17 | 22 |
| ჯენოა | 14 | 4 | 9 | 1 | 20:11 | 21 |
| პადოვა | 15 | 5 | 6 | 4 | 17:17 | 21 |
| ლუკეზე | 15 | 4 | 8 | 3 | 13:11 | 20 |
| კიევო | 15 | 5 | 5 | 5 | 17:17 | 20 |
| პალერმო | 15 | 3 | 8 | 4 | 14:16 | 17 |
| ფოჯა | 15 | 4 | 5 | 6 | 15:21 | 17 |
| ვენეცია | 15 | 4 | 4 | 7 | 18:20 | 16 |
| კოზენცა | 15 | 3 | 6 | 6 | 14:21 | 15 |
| სალერნიტანა | 15 | 3 | 6 | 6 | 8:15 | 15 |
| რეჯინა | 15 | 2 | 8 | 5 | 12:17 | 14 |
| ჩეზენა | 15 | 2 | 7 | 6 | 12:15 | 13 |
| კრემონეზე | 15 | 3 | 4 | 8 | 9:16 | 13 |
| დი სანგრო | 14 | 3 | 2 | 9 | 5:17 | 11 |

მე-14 ტურის მატჩი პალერმო — რეჯინა დამთავრდა 1:1 და არა 1:0, როგორც ადრე გვეწერა

## პორტუგალია

მე-13 ტური. ბენფიკა — მარიტიმუ 0:0; ლეირია — ბოავიშტა 1:1; გიმარაეში — ლეცა 3:0; ჟილ ვისენტე — ფარენსე 1:1; სალგეიროში — ამადორა 3:3; სეტუბალი — ესპინიუ 0:2; ბრაგა — რიუ ავე 1:0; ბელენენსეში — პორტუ 0:2; შავეში — სპორტინგი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 11 | 2 | 0 | 28:5 | 35 |
| ბენფიკა | 13 | 9 | 3 | 1 | 24:5 | 30 |
| სპორტინგი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:7 | 24 |
| ესპინიუ | 13 | 7 | 2 | 4 | 17:16 | 23 |
| ბრაგა | 13 | 6 | 4 | 3 | 19:18 | 22 |
| ამადორა | 13 | 6 | 3 | 4 | 15:11 | 21 |
| სეტუბალი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:14 | 20 |
| ფარენსე | 13 | 5 | 4 | 4 | 12:11 | 19 |
| ბოავიშტა | 13 | 4 | 6 | 3 | 19:15 | 18 |
| ლეცა | 13 | 5 | 3 | 5 | 17:14 | 18 |
| გიმარაეში | 13 | 5 | 2 | 6 | 19:19 | 17 |
| სალგეიროში | 13 | 3 | 6 | 4 | 16:16 | 15 |
| შავეში | 13 | 3 | 5 | 5 | 13:20 | 14 |
| ბელენენსეში | 13 | 4 | 2 | 7 | 15:25 | 14 |
| მარიტიმუ | 13 | 3 | 4 | 6 | 13:20 | 13 |
| ლეირია | 13 | 3 | 2 | 8 | 9:22 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 13 | 1 | 2 | 10 | 12:27 | 5 |
| რიუ ავე | 13 | 0 | 2 | 11 | 10:25 | 2 |

## ჰოლანდია

მე-20 ტური. ნაიმეგენი — ფეიენოორდი 1:2; ტვენტე — ალკმაარი 1:0; ვოლენდამი — ვიტესი 1:1; აიაქსი — ეინდჰოვენი 0:2; როდა — ჰერენვეენი 6:1; სიტარდი — ვალვაიკი 0:0; ტილბურგი — უტრეხტი 3:0; გრონინგენი — გრააფსხაპი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 20 | 15 | 3 | 2 | 60:14 | 48 |
| ფეიენოორდი | 20 | 14 | 3 | 3 | 36:21 | 45 |
| ტვენტე | 20 | 12 | 4 | 4 | 31:15 | 40 |
| ბრედა | 20 | 7 | 4 | 9 | 22:31 | 35 |
| ვიტესი | 20 | 9 | 6 | 5 | 32:23 | 33 |
| როდა | 20 | 9 | 6 | 5 | 27:23 | 33 |
| აიაქსი | 20 | 7 | 9 | 4 | 24:19 | 30 |
| გრააფსხაპი | 19 | 9 | 3 | 7 | 29:26 | 30 |
| ჰერენვენი | 20 | 7 | 8 | 5 | 33:28 | 29 |
| უტრეხტი | 20 | 4 | 10 | 6 | 26:29 | 22 |
| ვოლენდამი | 20 | 5 | 7 | 8 | 21:30 | 22 |
| ტილბურგი | 20 | 6 | 4 | 10 | 22:32 | 22 |
| სპარტა | 20 | 6 | 3 | 11 | 22:27 | 21 |
| სიტარდი | 20 | 3 | 10 | 7 | 18:32 | 19 |
| ალკმაარი | 20 | 5 | 3 | 12 | 17:25 | 18 |
| გრონინგენი | 19 | 4 | 6 | 9 | 20:33 | 18 |
| ნაიმეგენი | 20 | 3 | 7 | 10 | 20:37 | 16 |
| ვალვაიკი | 20 | 3 | 6 | 11 | 18:33 | 15 |

## შოტლანდია

მე-18 ტური. ხელტიკი — დანდი იუნ. 1:0; ჰართსი — რეინჯერსი 1:4; კილმარნოკი — აბერდინი 3:0; მოზერველი — დანფერმლაინი 2:3; რეით როვერსი — ჰიბერნიანი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 18 | 14 | 2 | 2 | 46:17 | 44 |
| სელტიკი | 15 | 9 | 3 | 3 | 33:15 | 30 |
| აბერდინი | 18 | 8 | 5 | 5 | 30:23 | 29 |
| დანფერმლაინი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:33 | 23 |
| ჰიბერნიანი | 18 | 6 | 4 | 8 | 21:28 | 22 |
| დანდი იუნ. | 18 | 5 | 6 | 7 | 19:19 | 21 |
| ჰართსი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:27 | 21 |
| მოზერველი | 18 | 4 | 6 | 8 | 19:27 | 18 |
| კილმარნოკი | 17 | 5 | 2 | 10 | 24:33 | 17 |
| რეით როვერსი | 17 | 4 | 3 | 10 | 15:30 | 15 |

## საბერძნეთი

მე-13 ტური. ქსანტი — პანათინაიკოსი 1:3; ედესაიკოსი — ოფი 1:2; აეკ — ვეროია 3:1; კავალა — იონიკოსი 2:0; პანახაიკი — ირაკლისი 0:0; არისი — კასტორია 2:0; ათინაიკოსი — კალამატა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 13 | 9 | 2 | 2 | 28:7 | 29 |
| ოლიმპიაკოსი | 12 | 9 | 2 | 1 | 22:5 | 29 |
| ოფი | 13 | 9 | 2 | 2 | 20:9 | 29 |
| აეკ | 13 | 8 | 2 | 3 | 31:13 | 26 |
| კავალა | 13 | 6 | 4 | 3 | 14:7 | 22 |
| პანილიაკოსი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:15 | 21 |
| პანახაიკი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:11 | 20 |
| ვეროია | 13 | 5 | 4 | 4 | 14:10 | 19 |
| კალამატა | 13 | 4 | 6 | 3 | 15:19 | 18 |
| იონიკოსი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:12 | 15 |
| პაოკი | 12 | 3 | 6 | 3 | 8:12 | 15 |
| ქსანტი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:20 | 13 |
| არისი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:21 | 13 |
| აპოლონი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:20 | 11 |
| ედესაიკოსი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:19 | 10 |
| ირაკლისი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:24 | 9 |
| ათინაიკოსი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:25 | 9 |
| კასტორია | 13 | 1 | 3 | 9 | 7:23 | 6 |

## თურქეთი

მე-17 ტური. გაზიანთეფსფორი — ტრაბზონსფორი 1:0; დარდანელი — ისტანბულსფორი 1:3; გენჩლერბირლიგი — ხარიერი 2:1; ალთაი — ვანსფორი 2:1; სამსუნსფორი — ქოჯაელისფორი 3:0; ზეითუნბურნუ — ანთალიასფორი 2:1; გალათასარაი — ბურსასფორი 4:1; დენიზლისფორი — ფენერბაჰჩე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 17 | 14 | 2 | 1 | 50:15 | 44 |
| ფენერბაჰჩე | 17 | 12 | 3 | 2 | 36:10 | 39 |
| ტრაბზონი | 17 | 12 | 2 | 3 | 31:15 | 38 |
| ბეშიქთაში | 16 | 10 | 4 | 2 | 39:12 | 34 |
| გაზიანთეფი | 17 | 9 | 5 | 3 | 20:14 | 32 |
| ბურსა | 17 | 9 | 3 | 5 | 26:16 | 30 |
| ქოჯაელი | 17 | 8 | 3 | 6 | 21:18 | 27 |
| ისტანბული | 17 | 6 | 4 | 7 | 21:23 | 22 |
| სამსუნი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:27 | 22 |
| სარიერი | 17 | 6 | 3 | 8 | 26:25 | 21 |
| გენჩლერბირ. | 17 | 6 | 3 | 8 | 15:20 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 16 | 6 | 2 | 8 | 20:23 | 20 |
| ალთაი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:33 | 19 |
| ანთალია | 17 | 4 | 5 | 8 | 20:25 | 17 |
| დარდანელი | 17 | 3 | 4 | 10 | 12:33 | 13 |
| ვანი | 17 | 3 | 3 | 11 | 13:30 | 12 |
| დენიზლი | 17 | 3 | 2 | 12 | 18:34 | 11 |
| ზეითუნბურნუ | 17 | 1 | 2 | 14 | 13:45 | 5 |

# არაბთა მიერ არაბთა ძლევა

## აზიის თასი

ფინალი

### საუდის არაბეთი 4:2 საემიროები

ძირითადი და დამატებითი დრო 0:0
ხაუდის არაბეთი: ალ დაეია, ალ იაჰანი, ალ ხალაილი (ალ ჰარბი 77), ზუბრომი, ალ ტემავი, ალ იაბერი (ალ დოხარი 62), მოჰალელი (ფალათაჰი 80), ხულეიმანი, ალ მოვალედი, ალ თუნაი, ალ დოხარი
ხაემიროები: ფაიროუზი, აბდულა, ხალეჰი, იხმაილი, ბ.ხაადი (ა. მოჰამედი 46), თალიანი (ხ.ხაადი 91), მუბარაქი, მ. მოჰამედი, ა. აჰმედი, ჰ. აჰმედი, ად. აჰმედი (ბხაითი 46)

მასპინძლებმა მატჩის შემდგომი პრესკონფერენციაც კი არ ჩაატარეს.

აბუ დაბის სტადიონზე 60 ათასი გულშემატკივარი დაღონდა, 5 ათასმა კი გაიხარა — საუდელმა არაბებმა საემიროთა არაბებს პენალტებით მოუგეს და აზიის თასს დაეუფლნენ. გამარჯვების პენალტი საუდელთა გამთამაშებელმა ხა-




საუდის არაბეთი აზიის სამგზის ჩემპიონი გახდა

ლიდ ალ მოვალედიმ გაიტანა, მანამდე კი მასპინძელთა რჩეულმა მოთამაშემ ჰასან აჰმედმა ძელს გაარტყა ბურთი. კიდევ უფრო ადრე, მეკარეებმა თითო დარტყმა მოიგერიეს.

ამრიგად საუდელმა არაბებმა გაიმეორეს ის მიღწევა, რომელიც მათ წინა თაობებს 1984 და 1988 წლებში ჰქონდათ. ამიერიდან საუდელები ირანის დარად აზიის სამგზის ჩემპიონებად იწოდებიან. აღსანიშნავია, რომ ისინი 1992 წელსაც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ფინალში იაპონელებთან 0:1 წააგეს.

შაბათის არაბული მატჩი ფრთხილად დაიწყო, თუმცა მეტოქეები საკმაოდ უხეშ ორთაბრძოლებსაც არ ერიდებოდნენ. პირველი მიზნიანი დარტყმა მე-15 წუთზე შესრულდა — საუდელთა ჯარიმა ემიროთა მეკარემ მოიგერია. ხუთი წუთის შემდეგ უკვე საუდის მეკარეს მოუხდა კარის ხსნა. თალიანის ათი მეტრიდან დარტყმული მან თავისგან მარცხენა კუთხეში მოიგერია. 31-ე წუთზე იმავე თალიანის შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ კუთხურიდან მოწოდებული თაურით ბადეში ვერ შეაგდო. გამოხდა ექვსი წუთი და საუდელების სასარგებლოდ პენალტი არ დაინიშნა, როდესაც საემიროების მცველმა საკუთარ საჯარიმოში ბურთის სვლა ხელით შეაჩერა.

მეორე ნახევრის მესამე წუთზე კვლავ თალიანის ჰქონდა მომენტი — ორი მეტრიდან ბურთი ხარიხას გადააცილა. რაც დრო გადიოდა, მასპინძლები უფრო მეტად ფლობდნენ ინიციატივას, თუმცა საგოლე მომენტების შექმნა უჭირდათ.

ძირითადი დროის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე საუდის არაბეთის 19 წლის მცველი ჰუსეინ სულეიმანს მალაიზიელმა არბიტრმა ხელით თამაშისთვის მეორე ყვითლით დასაჯა და მოედნიდან გააძევა. ამის შემდეგ მასპინძლებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს, დამატებით დროში თამაშის გარდატეხა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ასევე უშედეგო გამოდგა სტუმართა კონტრშეტევები.

მესამე ადგილისთვის

### ირანი 4:3 ქუვეითი

ძირითადი და დამატებითი დრო 1:1
ირანი: აბედზადეჰი, ხადავი, ოხთადახადი (ფალაჰათზადე 89), ბაგერი, ალი, მანსოურიანი, რეზაეხტილი, დაეი, აზიზი (მოუხავი 77), ხაკპური, მინავანდი (მოჰარამი 86)
ქუვეითი: ალ მაიდი (ალ ფადჰი 89), აბდულა (ალ ლენქავი 26), აბდულრაჰიმი, ალ ხალედი, ალ ჰალაბეეი, აბდულაზიზი, ხეეჰანი, ალ აჰმედი, ალ ჰუხეინი (ალ ხაქერი 24), ხაქინი, ალ ჰუვაიდი

ბოლო პენალტი აჰმედ აბედზადეჰმა თავისგან მარჯვნივ მოიგერია და ირანელმა 1976 წლის შემდეგ საუკეთესო შედეგს მიაღწია. 1976 წელს ამ ქვეყნის ნაკრები აზიის თასის მფლობელი იყო.

ჯასემ ალ ჰუვაიდი კი იმ მოთამაშის სახელია, რომლის დარტყმულიც მოიგერია ირანელთა გოლკიპერმა. მანამდე აბედზადეჰმა კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააუვნებლა. იმ ჯერზე უიღბლო ქუვეითელი ჯამალ აბუდულრაჰიმი გახლდათ, მისმა თანაგუნდელმა ამი ალ ლენქავიმ კი კარს საერთოდ ააცილა. უიღბლონი მხოლოდ ქუვეითელები როდი იყვნენ, ერთხელ ირანელიც შეცდა — მოთრაბა მოჰარამიმ ძელს გაარტყა.

პენალტებამდე ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. დამატებითი არ ყოფილა, პირდაპირ თერთმეტმეტრიანებზე გადავიდნენ. თამაშში კი მე-15 წუთზე ქუვეითი დაწინაურდა. ჰუვაიდიმ მარჯვენიდან მიიღო ბურთი, მეურვე ჩამოიცილა და 10 მეტრიდან გახსნა ანგარიში. ტაიმის დამთავრებას ხუთი წუთი რომ დააკლდა, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა ალი დაეიმ მერდად მინავანდის მარცხენა ფრთიდან ჩაკიდული თაურით მიზანში შეაგდო.

რაკიღა სიტყვამ ბომბარდირები მოიტანა, ვთქვათ, რომ დაეიმ შეჯიბრება 8 გოლით დაამთავრა, ორით ნაკლები გაიტანა ქუვეითელმა ჯასემ ალ ჰუვაიდიმ, მასზე კიდევ ორით ნაკლები საუდელმა ფაჰად ალ მოჰალელმა შეაგდო.

ირან — ქუვეითის შეხვედრაში კი 90-ე წუთზე ირანელებს ჩინებული შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ ფალაჰ ალ მაიდიმ ნამდვილი ოსტატობა გამოავლინა.

### ჩეზარეს ნათლობა

იტალიის ნაკრები 12 თებერვალს „უემბლიზე“ ინგლისთან თამაშამდე 22 იანვარს სიცილიის მთავარ ქალაქ პალერმოში ჩაატარებს ამხანაგურ შეხვედრას ჩრდილო ირლანდიის ეროვნულ გუნდთან. ეს იქნება ახალი მწვრთნელის ჩეზარე მალდინის პირველი „ნათლობა“ „სკუადრა აძურაში“. ისინი, ვისაც კერძო ტელეკომპანიების საშუალებით იტალიურ არხებზე ხელი მიუწვდებათ, ამ თამაშის ნახვას თბილისის დროით თორმეტის ნახევარზე შეძლებენ.

### სად წახვედი, მარიო?

ალბანეთში პირველი უცხოელი მწვრთნელი გამოჩნდა. იგია სახელგანთქმული არგენტინელი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მარიო კემპესი, რომელმაც ბალკანეთის ამ ქვეყნის პირველი დივიზიონის კლუბთან „ლუშნიასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კემპესი ორ წელიწადში 350 ათას დოლარს პლუს ყოველთვიურ 1500-ს მიიღებს. „ლუშნია“ სადღეისოდ ცხრილში მეათეა. არადა აქ თამაშობენ ბრაზილიელები ედუ და ვლადემირ სოუზა დუშ სანტუში, აგრეთვე ნიგერიელი ლეონარდო ინეჰ ნოსა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIX ტური
26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ჩელსი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ბლექბერნი — ნიუკასლი | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| ლიდსი — ქოვენთრი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ლივერპული — ლესტერი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| მიდლსბრო — ევერტონი | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| ნოტინგემი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| სანდერლენდი — დერბი ქაუნთი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ტოტენჰემი — საუთჰემპტონი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| უიმბლდონი — ვესტ ჰემი | 1,4 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| შეფილდ უენსდეი — არსენალი | 2,6 | 2,6 | 2,1 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXV ტური
26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედფორდი — შეფილდ იუნაიტედი | 3,6 | 2,9 | 1,6 |
| გრიმსბი — ბოლტონი | 4,7 | 3,1 | 1,4 |
| 1:0 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| იფსვიჩი — კრისტალ პალასი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| მანჩესტერ სიტი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ოლდემი — ბირმინგემ სიტი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| პორტსმუთი — სვინდონი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ქუინზ პარკი — ნორვიჩი | 1,4 | 3,2 | 4,4 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| რედინგი — ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| საუთენდი — ჩარლტონი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| სტოკ სიტი — ბარნსლი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| ტრანმერი — ჰადერსფილდი | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ვულვერჰემპტონი — ოქსფორდი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური
26 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — სელტიკი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| დანფერმლაინი — ჰართსი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ჰიბერნიანი — კილმარნოკი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — რეით როვერსი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XX ტური
28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ასტონ ვილა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ჩელსი — შეფილდ უენსდეი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| ქოვენთრი — მიდლსბრო | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| დერბი ქაუნთი — ბლექბერნი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ევერტონი — უიმბლდონი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ლესტერი — ნოტინგემი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ლიდსი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ნიუკასლი — ტოტენჰემი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| საუთჰემპტონი — ლივერპული | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| ვესტ ჰემი — სანდერლენდი | 1,5 | 2,8 | 4,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXVI ტური
28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — მანჩესტერ სიტი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ბირმინგემ სიტი — ტრანმერი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ბოლტონი — საუთენდი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჩარლტონი — ვულვერჰემპტონი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| კრისტალ პალასი — სტოკ სიტი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰადერსფილდი — იფსვიჩი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ნორვიჩი — ბრედფორდი | 1,3 | 3,2 | 5,6 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| ოქსფორდი — რედინგი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| პორტ ვეილი — პორტსმუთი | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| შეფილდ იუნაიტედი — ოლდემი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| სვინდონი — გრიმსბი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ვესტ ბრომვიჩი — ქუინზ პარკი | 2,5 | 2,5 | 2,2 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XX ტური
28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — ჰიბერნიანი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჰართსი — მოზერველი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| კილმარნოკი — რეინჯერსი | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| რეით როვერსი — დანდი იუნაიტედი | 2,2 | 2,5 | 2,2 |

### ფსონები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,5 |
| დორტმუნდი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ინგლისი

| | |
|---|---|
| ლივერპული | 2,0 |
| არსენალი | 3,0 |
| ნიუკასლი | 3,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,6 |
| პარი სენ-ჟერმენი | 2,0 |
| ბორდო | 7,0 |
| ნანტი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,8 |
| რეალი | 1,8 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,1 |
| ბენფიკა | 4,0 |
| სპორტინგი | 9,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ქსამაქსი | 1,7 |
| გრასჰოპერი | 2,5 |
| სიონი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 2,2 |
| ტრაბზონსფორი | 2,5 |
| ფენერბაჰჩე | 2,5 |
| ბეშიქთაში | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1,5 |
| ინტერი | 3,0 |
| მილანი | 5,0 |
| რომა | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი | 1,15 |
| ფეიენოორდი | 3,8 |
| აიაქსი | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,6 |
| სტანდარდი | 3,0 |
| ანდერლეხტი | 4,0 |
| მუსკრონი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| რაპიდი | 1,25 |
| ზალცბურგი | 3,1 |
| ტიროლი | 5,0 |
| აუსტრია | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

#### შოტლანდია

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,15 |
| სელტიკი | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა. თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.**

## CROCO-2

### ტირაჟი №06

1. ასტონ ვილა — ჩელსი
2. ბლექბერნი — ნიუკასლი
3. მიდლსბრო — ევერტონი
4. ნოტინგემი — მანჩესტერი
5. სანდერლენდი — დერბი ქაუნთი
6. ტოტენჰემი — საუთჰემპტონი
7. უიმბლდონი — ვესტ ჰემი
8. შეფილდი — არსენალი

### ტირაჟი №07

1. არსენალი — ასტონ ვილა
2. ჩელსი — შეფილდი
3. ქოვენთრი — მიდლსბრო
4. დერბი ქაუნთი — ბლექბერნი
5. ევერტონი — უიმბლდონი
6. ლესტერი — ნოტინგემი
7. საუთჰემპტ. — ლივერპული
8. ვესტ ჰემი — სანდერლენდი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

# სარბიელი'97

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სარბიელის“ ანკეტა

რამ გადაგვაწყვეტინა „სარბიელის“ მკითხველთა შეწუხება, იოლად მიგვიხვდებით: გვსურს, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ თქვენივე ინტერესი და მეტად გავითვალისწინოთ თქვენი სურვილები. თუ არ დაგვზარდებით და ქვემორე კითხვებზე გვიპასუხებთ, დიდად მადლიერნი დაგრჩებით.

შევსებული კითხვარი გამოაგზავნეთ მისამართზე: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208. ან ჩააბარეთ სპორტულ ლატარია „კროკოში“ (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში), ანაც გაზეთის კერძო გამავრცელებლებს („მაცნეს“ ჯიხურების გარდა).

✓ ასაკი ..............................................

✓ სქესი

☐ მამრობითი ☐ მდედრობითი

✓ ოჯახური მდგომარეობა..............................

✓ თქვენი პროფესია ან ამჟამად რა დარგში საქმიანობთ

..............................................

✓ რომელ ქალაქში ან სოფელში (თბილისელისთვის — რომელ უბანში) ცხოვრობთ?

..............................................

✓ საიდან იღებთ სპორტულ ინფორმაციას?

☐ გაზეთებიდან ☐ ტელევიზიით

☐ რადიოდან ☐ ქუჩიდან

✓ კიდევ რომელ (ქართულ და უცხოურ) გაზეთებს კითხულობთ?

..............................................

✓ როდიდან კითხულობთ „სარბიელს“?

..............................................

რა სიხშირით კითხულობთ „სარბიელს“?

☐ ზოგჯერ ☐ რეგულარულად

✓ თუ გყოფნით ფული ყველა ნომრის შესაძენად?

☐ დიახ ☐ არა

✓ თუ „სარბიელი“ ყოველდღიური გახდა, შეძლებთ მის ყოველდღე ყიდვას?

☐ დიახ ☐ არა

✓ როგორ კითხულობთ გაზეთს?

☐ თავიდან ბოლომდე ☐ ალაგ-ალაგ

☐ მხოლოდ ცალკეულ სპორტის სახეობებზე

✓ თუ გყავთ გამორჩეული ავტორი?

..............................................

✓ რომელი სახეობების შესახებ კითხულობთ?

☐ ფეხბურთი ☐ კალათბურთი ☐ ჭიდაობა

☐ რაგბი ☐ ჩოგბურთი ☐ ავტოსპორტი

☐ კრივი ☐ ჰოკეი ☐ თხილამურები

☐ ველოსპორტი ☐ ხელბურთი ☐ ჭადრაკი

☐ ალპინიზმი ☐ ეგზოტიკური სახეობები ☐ სხვა

✓ რა უფრო გაინტერესებთ ფეხბურთში?

☐ ქართული გუნდების ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე

შინაური შეჯიბრებები

☐ მიმოხილვა

☐ მატჩების რეპორტაჟები

☐ ინტერვიუები

☐ მოკლე ცნობები

☐ ქართველ ლეგიონერთა ამბები

ვისი?..............................................

უცხოური ფეხბურთი

☐ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები

☐ ევროთასები

☐ საფეხბურთო რუქასთან

☐ ინგლისის ჩემპიონატი

☐ იტალიის ჩემპიონატი

☐ სხვა ქვეყნების ჩემპიონატები

✓ რა უფრო გაინტერესებთ კალათბურთში?

☐ ქართული გუნდების ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე

☐ შინაური შეჯიბრებები

☐ უცხოური კალათბურთი (NBA)

✓ რა უფრო გაინტერესებთ რაგბში?

☐ ეროვნული გუნდი

☐ შინაური რაგბი

☐ უცხოური რაგბი

✓ რომელ რუბრიკებს კითხულობთ?

☐ სახელი ☐ უცხო ხილი ☐ სვეტი

✓ დაასახელეთ თემა ან საკითხი, რომელიც გაინტერესებთ, მაგრამ იშვიათად ან საერთოდ არ გხვდებათ „სარბიელში“

..............................................

..............................................

✓ თქვენი აზრით, რას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება სამომავლოდ?

..............................................

..............................................

..............................................

✓ რა არ მოგწონთ ზოგადად ან რა არ მოგეწონათ „სარბიელში“ 1996 წელს?

..............................................

..............................................

..............................................

✓ როგორ შეაფასებდით „სარბიელის“ საქმიანობას 1996 წელს (ხუთბალიანი სისტემით)?

☐ 1 ☐ 2 ☐ 3 ☐ 4 ☐ 5

✓ გთხოვთ, ქვემოთ უფრო ვრცლად გვაცნობოთ თქვენი სურვილები, მოგვაწოდოთ შენიშვნები და მოსაზრებები.

..............................................

..............................................

..............................................

..............................................

..............................................

..............................................

..............................................

# ბიზნესმენებო, მიბაძეთ Air Georgia-ს

ალბათ, არავინ შეგვედავება იმაში, რომ საქართველოში სპორტს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ეს ალბათ, ბუნებრივიცაა — მსოფლიო დონის პოლიტიკოსი მხოლოდ ერთი გვყავს (მარტოკაცის ამბავი კი თავად მოგეხსენებათ), მსოფლიო დონისავე სპორტსმენი კი არაერთი და სწორედ მათ ძალუძთ, რეალური შედეგებით აამაღლონ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი და ღირსეული ადგილი დაუმკვიდრონ საქართველოს მთელს მსოფლიოში.

ამიტომ ძლიერი სპორტსმენი უნდა შეინარჩუნო, მაგრამ მას მარტო მადლობის სიტყვები და სიგელები ველარ გააჩერებს. უნდა გამოინახოს თანხები, რაც მათ მისცემს ნორმალური (იდეალურიო, აღარ ვამბობთ) ცხოვრებისა და ვარჯიშის საშუალებას. ამისცდაშია სპორტის დეპარტამენტი და იმედია, ქართული სპორტის გასაჭირს პარლამენტიც გაიზიარებს — ისედაც მცირე ბიუჯეტს აღარ შეამცირებს.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, სპორტის დეპარტამენტი ოლიმპიურ მოსამზადებელ ციკლში ჩართულ სპორტსმენებს სტიპენდიებს დაუნიშნავს. გარდა ამისა, 60-70 კაცი მიიღებს ქვეყნის პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის სახელობის სტიპენდიას. სპორტის დეპარტამენტს და პრეზიდენტს არც ბიზნესმენები ჩამორჩნენ: ავიაკომპანია „ეარ ჯორჯიამ“ დავით ხახალეიშვილს და ელდარ კურტანიძეს ფულადი დახმარება გამოუყო. უფრო დაწვრილებით რომ შეგვეტყო ყველაფერი, ავიაკომპანიის ფინანსურ დირექტორს ვახტანგ ასათიანს ვეწვიეთ. თავიდან ის უარობდა — რა საჭიროა ასეთი ამბების გახმაურებაო, მაგრამ ჩემმა დაჟინებულმა თხოვნამ და არგუმენტმა, რომ ქველი საქმის შესახებ ხალხმა უნდა იცოდეს, გაჭრა და იგი მცირე ინტერვიუზე დაგვთანხმდა.

— ქართველ სპორტსმენებს ფინანსურად უჭირთ, მათი დახმარება აუცილებელია. ჩვენმა ავიაკომპანიამ გაითვალისწინა მათი მდგომარეობა და გადაწყვიტა, დავით ხახალეიშვილსა და ელდარ კურტანიძეს დახმარების სახით 300-300 ლარი გამოუყოს.

**— რა კრიტერიუმით შეარჩიეთ ისინი?**

— ეს დახმარება მათ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წარდგინებით დავუნიშნეთ.

ხოლო წერილს იმის შესახებ, თუ რატომ ურჩია სპორტის დეპარტამენტმა „ეარ ჯორჯიას“ სწორედ ამ სპორტსმენებისთვის გაემართა ხელი, უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**ერეკლე კიკილაშვილი**

## ტანვარჯიში

# ილია ვერ გამოვიდა

მოსკოვში გაიმართა ტანმოვარჯიშეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის მონაწილენიც სნგ-ს რესპუბლიკების წარმომადგენლები იყვნენ. ცალკე გუნდები გამოიყვანეს რუსეთის სატანვარჯიშო ცენტრებმა — ჩელიაბინსკმა, როსტოვმა, ვორონეჟმა, სანკტ-პეტერბურგმა, მოსკოვმა და ა. შ. საქართველოდან ამ ტურნირზე წარდგა რვა სპორტსმენი: ილია გიორგაძე, შალვა დალაქიშვილი, რეზო აბულაძე, გიორგი ჭიყლაძე, ნინო დოდაშვილი, ირინა მეჩეკი, ეკა ტოგონიძე და ნაზი ჯანგველაძე. ტურნირზე საუბარი ვთხოვეთ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, განათლების სამმართველოს ტანვარჯიშის სკოლის დირექტორს გივი ჩხარტიშვილს.

— ჩვენგან მოსკოვში მერიასთან არსებული განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების სკოლის წარგზავნილებმა იასპარეზეს. საჭირო ხარჯები განათლების სამმართველომ გაიღო, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდით მას.

ტურნირი ოსტატთა და პირველთანრიგოსანთა პროგრამით ჩატარდა. სამწუხაროდ, ჩვენს ლიდერს ილია გიორგაძეს წელი ასტკივდა და შეჯიბრს გამოაკლდა, არადა, სწორედ მისგან ველოდით წარმატებას როგორც მრავალჭიდში, ისე ცალკეულ იარაღებზე.

სამაგიეროდ, კარგად გამოვიდნენ პირველთანრიგოსანთა პროგრამით მოასპარეზე ჩვენი ყმაწვილი ტანმოვარჯიშეები. ათი ვარჯიშის შემდეგ შალვა დალაქიშვილი პირველ ადგილზე იყო, რეზო აბულაძე კი მეორეზე, მაგრამ ტაიჭზე ვარჯიშისას შეცდომა დაუშვეს და საბოლოოდ მესამე-მეოთხე ადგილებზე გავიდნენ. არადა, მათ გამარჯვებულს ტაიჭის გარდა ყველა დანარჩენ ხუთ იარაღზე მოუგეს. გიორგი ჭიყლაძე მე-6 ადგილზე გავიდა. ჩვენმა ბიჭებმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს. განთქმულმა ტანმოვარჯიშემ მიხეილ ვორონინმა გვითხრა, ომში და გაჭირვებაში როგორ აღზარდეთ ასეთი ბავშვებიო. მასპინძლებმა ერთობლივ ვარჯიშებზეც მიგვიწვიეს მოსკოვში, რათა ხელი შეეწყოს ამ ბიჭების შემდგომ დაოსტატებას. დალაქიშვილის და აბულაძის მწვრთნელები არიან როინ პასიკაშვილი და შოთა აზარაშვილი, ხოლო ჭიყლაძისა — მამუკა მენაბდიშვილი.

ტანმოვარჯიშე გოგონებისგან წარმატებებს არ ველოდით, მაგრამ მათაც საკმაოდ კარგი შეფასება მიეცათ პერსპექტივის თვალსაზრისით.

მოკლედ, ჩვენი ტანმოვარჯიშეები მოსკოვში კარგად გამოვიდნენ და თუ სათანადო ხელშეწყობა ექნათ, მათგან მომავალშიც უნდა ველოდოთ წარმატებებს.

**კოტე მგალობლიშვილი**

## ძიუდო

# მოსკოვში — 14, პარიზში — 7

მომავალ, 1997 წელს ქართველ ძიუდოისტებს სამი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრება ელით — ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიოს ჩემპიონატი და ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ამათგან პირველი ევროპის ჩემპიონატი იქნება, რომელიც 8-11 მაისს გაიმართება ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. მანამდე კი ევროპაში თერთმეტი უმაღლესი, A კატეგორიის ტურნირი უნდა ჩატარდეს. საქართველოს გუნდი, ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელისა და მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ოთხ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენები იჭიდავებენ მოსკოვში (25-26 იანვარი), პარიზში (7-9 თებერვალი), მიუნხენში (22-23 თებერვალი) და რომში (22-23 მარტი). ამ ტურნირების შედეგების მიხედვით დადგინდება ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელ ძიუდოისტთა ვინაობა.

ერთი თვის წინ გამართული საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ გამოიკვეთნენ ნაკრების კანდიდატები. ევროპულ ტურნირებზე სამი შემადგენლობა იჭიდავებს, მოსკოვში — 14 კაცი, პარიზში — 7. ასევე 7-7 ძიუდოისტით გამოვალთ მიუნხენსა და რომშიც, ოღონდ ამ ორი ტურნირის მონაწილეებს ხაბარელი წინა ორი შეჯიბრებიდან გამომდინარე განსაზღვრავს.

მოსკოვში გაემგზავრებიან: მერაბ იოსებაშვილი (ახმეტა), ნესტორ ხერგიანი (თბილისი, ორივე — 60 კგ), გიორგი ვაზაგაშვილი (გორი), გიორგი რევაზიშვილი (საგარეჯო, ორივე — 65), ზაზა გულიაშვილი (ქარელი), ქართლოს თედიაშვილი (საგარეჯო, ორივე — 71), გიორგი ჭაბუკაშვილი (გორი), ივანე წივილაძე (თბილისი, ორივე — 78), სოსო ლიპარტელიანი, ლევან ციგრიაშვილი (ორივე — თბილისი, ორივე — 86), ივერი ჯიქურაული (დუშეთი), მევლუდ ლობჟანიძე (თბილისი, ორივე — 95), ალექსი დავითაშვილი (ახმეტა), რამაზ ჩოჩიშვილი (გორი, ორივე — მძიმე).

პარიზში იჭიდავებენ ფირუზ ტყეშელაშვილი (ქუთაისი, 60), ზურაბ სამუკაშვილი (ახმეტა, 65), დავით ნადარაია (თბილისი, 71), მამუკა ბოტკოველი (თელავი, 78), გიორგი წმინდაშვილი (თელავი, 86), გია გუგავა (თბილისი, 95), დავით ხახალეიშვილი (ქუთაისი, მძიმე).

# ბორისი კვლავ იმსაჯებს

საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, გორელი ბორის გოგიჩაშვილი თითქმის ორი წელიწადია ტატამზე აღარ შესულა. ამ მეტად კვალიფიციური და ერუდირებული მსაჯისგან ამგვარი საქციელი გასაკვირიც იყო, მაგრამ ბორისი სერიოზული ბიზნესით დაკავებული კაცია და სამსაჯოდ ვერ იცლიდა. ახლახან შევიტყვეთ, რომ გოგიჩაშვილმა გამონახა დრო, მსაჯობა კვლავ განიზრახა და ამ საქმეში ჩაბმას საფუძვლიანად აპირებს. გორელი არბიტრი იმსაჯებს მოსკოვისა და პარიზის საერთაშორისო ტურნირებს, ხოლო თუ აქ დადებითი შეფასებები დაიმსახურა — ევროპის ჩემპიონატსაც. ამრიგად, გაჩნდა შანსი, საერთაშორისო შეჯიბრებებზე საქართველო ორი არბიტრით წარდგეს — გოგიჩაშვილითა და დუშელი მერაბ ლოსეურაშვილით. ბარემ იმასაც დავძენთ, რომ გოგიჩაშვილი ევროპის სამსაჯო წრეებში საკმაოდ ავტორიტეტიანი კაცია და ნაცნობთა ფართო წრეც ჰყავს, ეს ფაქტორები კი, დაგვეთანხმებით, სულაც არ არის მეორეხარისხოვანი.

## კალათბურთი

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

20 დეკემბერი

**ატლანტა ჰოქსი — ნიუ ჯერსი ნეტსი 109:96, კლივლენდ კავალიერსი — ტორონტო რეპტორსი 91:82, დეტროიტ პისტონსი — ინდიანა პეისერსი 84:76, ნიუ იორკ ნიქსი — ფილადელფია-76 110:103, იუტა ჯაზი — ორლანდო მეჯიქი 98:93, დენვერ ნაგეტსი — ვანკუვერ გრიზლისი 108:93, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — დალას მავერიქსი 107:77, სიეტლ სუპერსონიქსი — ლოს ანჯელეს კლიპერსი 102:86**

21 დეკემბერი

**შარლოტ ჰორნეტსი — ატლანტა ჰოქსი 98:93, ნიუ ჯერსი ნეტსი — ბოსტონ სელტიქსი 101:100, ნიუ იორკ ნიქსი — დეტროიტ პისტონსი 96:92, ჩიკაგო ბულსი — ფილადელფია-76 111:106, მინესოტა ტიმბერვულვსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი 103:88, მაიამი ჰითი — ჰიუსტონ როკიტსი 86:66, სან ანტონიო სპურსი — ფინიქს სანსი 101:88, მილუოკი ბაქსი — ორლანდო მეჯიქი 103:86, საკრამენტო კინგსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 101:99**

22 დეკემბერი

**კლივლენდ კავალიერსი — იუტა ჯაზი 100:94, ინდიანა პეისერსი — ტორონტო რეპტორსი 111:92, შარლოტ ჰორნეტსი — ბოსტონ სელტიქსი 102:98, გოლდენ სტეიტ ვორიორსი — ლოს ანჯელეს კლიპერსი 97:91, სიეტლ სუპერსონიქსი — დალას მავერიქსი 93:79, ვანკუვერ გრიზლისი — ვაშინგტონ ბულეტსი 91:87**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 19 | 7 | 73,1 |
| ნიუ იორკი | 18 | 7 | 72,0 |
| ვაშინგტონი | 12 | 13 | 48,0 |
| ორლანდო | 9 | 13 | 40,9 |
| ფილადელფია | 7 | 18 | 28,0 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 16 | 27,3 |
| ბოსტონი | 5 | 19 | 20,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 23 | 3 | 88,5 |
| დეტროიტი | 20 | 5 | 80,0 |
| კლივლენდი | 17 | 8 | 68,0 |
| ატლანტა | 15 | 9 | 62,5 |
| შარლოტი | 15 | 11 | 57,7 |
| მილუოკი | 14 | 11 | 56,0 |
| ინდიანა | 12 | 12 | 50,0 |
| ტორონტო | 9 | 18 | 33,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| ჰიუსტონი | 21 | 5 | 80,8 |
| იუტა | 20 | 5 | 80,0 |
| დალასი | 9 | 16 | 36,0 |
| მინესოტა | 9 | 17 | 34,6 |
| დენვერი | 7 | 19 | 26,9 |
| სან ანტონიო | 6 | 17 | 26,1 |
| ვანკუვერი | 6 | 22 | 21,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 20 | 9 | 69,0 |
| ლეიკერსი | 19 | 9 | 67,9 |
| პორტლენდი | 14 | 13 | 51,9 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 17 | 37,0 |
| კლიპერსი | 10 | 17 | 37,0 |
| საკრამენტო | 10 | 17 | 37,0 |
| ფინიქსი | 8 | 17 | 32,0 |

## გახსენება

# გურამ მეგრელიძე — 60

## ეროვნული ბიბლიოთეკა



24 დეკემბერს 60 წელი შეუსრულდებოდა. უყვარდა ოჯახი, მეგობრები, სამსახური, სამშობლო, პოეზია. განსაკუთრებით უყვარდა შოთა ნიშნიანიძის ეს სტრიქონები:

„მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.
შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რომ მადგას განაჩენივით.
არ მომიღერო, გეთაყვა, სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.“

ეს ლექსი იმიტომ უყვარდა, რომ ზუსტად ასე იცხოვრა და ასეთი იყო მისი ცხოვრების კრედო. ამ კაცმა ბევრს უპატრონო, ბევრი მიუსაფარი შეიფარა, ბევრი მშიერი დააპურა, ბევრი უნუგეშო ანუგეშა. მაგრამ მაინც არ დაინდეს — „მოუღერეს სახრე“. ორმა გარეწარმა ავტომატის ჯერი დაუცალა ფეხებთან სამსახურში — ვარკეთილის სპორტულ ბაზაზე, სადაც ათობით აფხაზეთიდან ლტოლვილს უფასოდ აპურებდა, გარეწრებმა კი მათი ლუკმის მიტაცება გადაწყვიტეს. იდგა 1993 წლის აგვისტო, საქართველოში ძმათაკვლა იყო გაჩაღებული.

არც განძრეულა, წარბიც არ შეუხრია და როცა ჰკითხეს, ხომ არაფერი გეტკინაო, მშვიდად უპასუხა, კი არ მეტკინა, მეწყინაო. დიახ, ისე უზომოდ ეწყინა, რომ ვერაფრით მოინელა „ძმათა ღალატი“. საკუთარ გულს შეასკდა და ბოლოს გაუსკდა კიდეც.

გურამ მეგრელიძეს სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი დღეც არ უცხოვრია სპორტის გარეშე. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მუშაობდა რუსეთში მწვრთნელად, თბილისის ოქტომბრის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ თამაშობათა განყოფილების გამგედ, ვარკეთილის ოლიმპიური სპორტკომპლექსის გენერალურ დირექტორად. ყველგან იღვაწა ღირსეულად, თავდაუზოგავად და ყველგან კაცური კაცის სახელი დატოვა.

იყო ჭეშმარიტად მორწმუნე. ყველა ოჯახში შედიოდა ჯვრით, სახარებით და ხატებით. ბევრი ახლობელი აზიარა ქრისტეს მცნებას, მათ შორის მეც. ახლო ურთიერთობა ჰქონდა საპატრიარქოსთან. ხშირად მიჰყავდა სპორტსმენები ეკლესიაში. მაგონდება ვლადიმერ აფციაური, რომელიც კარგა ხანს აღარ ვარჯიშობდა, გურამის დახმარებით უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევის შემდეგ განაახლა ვარჯიში და ფარიკაობაში ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. ასევე 1976 წელს საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდული გუნდი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც თავად იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

ქართული სპორტის ამაგდარი მუდამ სისხლსავსე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა, საახლობლო-სამეზობლო-სამეგობროში სიყვარულით ჩაბუხრებული კაცი იყო და ბოლოს ჩემი ეს მოკრძალებული წერილი მერაბ კოსტავას სტრიქონებით მინდა დავამთავრო:

„ჩემი აკვანი კუბოა,
ზარი გლოვისა — ნანაო,
სული გვამს როცა გასცდება,
მიმღერე სულთათანაო“.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ჩემო გური.

**ანზორ საკანდელიძე**
**ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი**


**1996 წლის 27 დეკემბერს, პარასკევს 14 საათზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს სპორტსმენთა დახმარების და სოციალური დაცვის ფონდი და საზოგადოება „მარათონი — XXI საუკუნე“ აწყობს საზეიმო შეხვედრას საქართველოს გამოჩენილ სპორტსმენებთან, ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებთან.**

ამ შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს იხილავს მთელი საქართველო.

ქართველო ბიზნესმენებო, ბანკირებო, საქმიანი წრეების წარმომადგენლებო!

თქვენს მიერ შემოწირული თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე:

„მარათონი — XXI საუკუნე“, სკბ. აგრომრეწვბანკი, კოდი 220101412, ა/ა 600467734, სავ. ანგ. 17070497.
საქართველოს სპორტსმენთა დახმარების და სოციალური დაცვის ფონდი „ნიკა“. გაერთიანებული ქართული ბანკი, საოპერაციო დეპარტამენტი. საკ. ანგ. 600164066, კოდი 220101666, ა/ა. 051700434, სავ. ანგ. 210070. 14

არქიტექტურული სტუდია
გთავაზობთ:
პროექტირება
მშენებლობა
დიზაინი
ინტერიერი
საკუთარი და საერთო საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, ბანკები, ოფისები, ავტოგასამართი სადგურები, კვებისა და ვაჭრობის ობიექტები, შენობა-ნაგებობათა ფასადები, ბუხრები, აგრეთვე სხვა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები
ალ. ყაზბეგის გამ. №42
II კორპ, IV სართული
T: 99 03 15

# მე წილისყრა რაღად გვინდოდა ნეტავ?

პარიზიდან ანუ ფირა-ს შტაბ-ბინიდან საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძესთან ერთად, როგორც იქნა, ჩამოაღწია ამ ორგანიზაციის პირველობის უკლებლივ ყველა ანგარიშმა.

მათი გაცნობით გაირკვა, ვინ რისი მაქნისია და 1999 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრის როგორი პერსპექტივა აქვს: ფირა-ს ამჟამად მიმდინარე პირველობის უმცროსი დონე ხომ იმადროულად IV მსოფლიო თასის პირველი შესარჩევი ეტაპია, უფროსი კი — მეორე ეტაპის საკლასიფიკაციო ტურნირი, რომლის შედეგების მიხედვითაც განაწილდებიან გუნდები ქვეჯგუფებად და სტუმარ-მასპინძელიც დადგინდება, რაც არსებითზე არსებითია მანკიერი სისტემით — ერთ წრედ (!?) მიმდინარე შეჯიბრებისათვის.

ქართველი „ბორჯღალოსნების" სასახელო გამარჯვებების ამბავი კარგად მოეხსენებათ გულშემატკივრებს. ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ბიჭებმა რანგით მაღლა აიწიეს, რამეთუ მათი წინა პირველობისეული ოთხივე მეტოქე — გერმანია, ჰოლანდია, ჩეხეთი და დანია იმავე დონეზე დარჩა, სადაც შარშან ბრძანდებოდა, ქართველებმა კი შინ რუსეთის ძლევით ეს დერჟავა ერთი დონით დააქვეითეს.

მადა ჭამაში მოდისო და ჩვენმა პარიზელმა დესპანებმა — გეგიძემ და კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა მეორედაც გარისკეს: წინა ჯერზე რუსეთთან თამაში მათი მოედნიდან ჩვენსაზე რომ გადმოატანინეს, კიდევ სცადეს ბედი, აიყოლიეს პარიზის სხდომის დამსწრე სხვა ცხრა ქვეყნიდან შვიდის დელეგატები და ნახევარფინალ-ფინალების გამართვის ადგილი წილისყრით გადააწყვეტინეს.

აქ ზურგი შეგვაქცია იღბალმა: პლეიოფის ორივე თამაშის გამართვა სტუმრად მოგვიწია, რაც ჩვენს შანსებს, რა თქმა უნდა, ამცირებს. არადა, წილისყრა რომ არ დაგვეჟინებინა, გინდ პორტუგალიასთან წაგვეგო, რაკი პოლონეთზე უკეთესი ბურთების სხვაობა გვაქვს, მესამე ადგილისათვის მას შინ ვეთამაშებოდით, რაც გამარჯვების წინაპირობა იქნებოდა.

ჩვენს სარაგბო თემს ფინალში გასვლის იმედი მაინც აქვს. თუ ამ ეტაპზე წავიფორჩხილეთ, მერე პოლონეთი სტუმრად უსიკვდილოდ უნდა ვძლიოთ, თორემ იტალიასთან და რუსეთთან ერთად „ა" ჯგუფში მოვხვდებით. მაშინ ალბათ უკვე რუსები გადაატანინებენ ჩვენთან შეხვედრას თავიანთ მოედანზე!

ისე კი, ვერც მაგ ფინალში გასვლაა დიდი ბედენა. გულშემატკივრებს ანალიზი თავად შეუძლიათ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ „ბ" ჯგუფში მოხვედრა ჯობს „გ" ჯგუფში ასპარეზობას. პირველგან რუმინეთსა და ჩეხეთს ვეწვევით, სამაგიეროდ კი ვინმე მაჩანჩალასა და ჩვენს ძირითად კონკურენტ ბელგიას ვუმასპინძლებთ. მეორე ვარიანტით ვესტუმრებით ესპანეთსა და გერმანიას, მაგრამ ვმასპინძლობთ ჰოლანდიას.

მესამე ევროპულ ეტაპზე ჯგუფებიდან ორ-ორი მოწინავე გადის!



რამდენჯერ დავამარცხოთ რუსეთი?

ბადრი კეთილაძის ფოტო

## IV მსოფლიოს თასი

### პირველი ეტაპი

უკრაინა — იუგოსლავია 60:0; შვეიცარია — უკრაინა 0:30; ისრაელი — ავსტრია 15:3; ისრაელი — შვეიცარია 9:9

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 90: 0 | 4 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 24:12 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 1 | 9:39 | 1 |
| ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 3:15 | 0 |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:60 | 0 |

ლატვია — ნორვეგია 44:6; ბულგარეთი — მოლდოვა 6:14; ნორვეგია — ხორვატია 7:43; მოლდოვა — ლატვია 3:8; ბულგარეთი — ხორვატია 31:46

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 89:38 | 4 |
| ლატვია | 2 | 2 | 0 | 0 | 52: 9 | 4 |
| მოლდოვა | 2 | 1 | 0 | 1 | 17:14 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 37:60 | 0 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 2 | 13:87 | 0 |

ლიტვა — ლუქსემბურგი 26:3; ანდორა — ლიტვა 54:24; შვედეთი — უნგრეთი 39:17; ლუქსემბურგი — უნგრეთი 3:12; ანდორა — შვედეთი 21:20

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდორა | 2 | 2 | 0 | 0 | 75:44 | 4 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 59:38 | 2 |
| ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 50:57 | 2 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 29:42 | 2 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 6:38 | 0 |

**ნახევარფინალი**

I-IV (ევროპის 1-4)
* ესპანეთი — * პოლონეთი
პორტუგალია — საქართველო

V-VIII (5-6)
* ბელგია — * მაროკო
ტუნისი — რუსეთი

IX-XII (7-10)
დანია — გერმანია
* ჩეხეთი — * ჰოლანდია

* ფინალების მასპინძლები

**ევროპის მეორე ეტაპი**

| ა | ბ | გ |
|---|---|---|
| იტალია | რუმინეთი | 1 |
| 4 | 3 | 2 |
| 5 | 6 | 7 |
| 10 | 9 | 8 |

პირველი ეტაპიდან გამოსული თითო მონაწილე

ბელგია — გერმანია 24:3; გერმანია — ესპანეთი 17:25; ესპანეთი — ბელგია 77:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 102:17 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 0 | 1 | 24:80 | 2 |
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 2 | 20:49 | 0 |

ჩეხეთი — საქართველო 14:18; საქართველო — რუსეთი 29:20; რუსეთი — ჩეხეთი 37:14

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 47:34 | 5-2 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 57:43 | 7-5 | 2 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 28:55 | 3-8 | 0 |

პოლონეთი — დანია 16:10; მაროკო — პოლონეთი 16:17; დანია — მაროკო 5:17

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 33:26 | 4 |
| მაროკო | 2 | 1 | 0 | 1 | 33:22 | 2 |
| დანია | 2 | 0 | 0 | 2 | 15:33 | 0 |

ჰოლანდია — ტუნისი 15:20; პორტუგალია — ჰოლანდია 55:11; ტუნისი — პორტუგალია 6:11

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 66:17 | 4 |
| ტუნისი | 2 | 1 | 0 | 1 | 26:26 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 26:75 | 0 |



# 100 000 US$ კარგი ფულია

მოსკოვში შაბათს დასრულდა ტრადიციული, 29-ე ტურნირი გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე, რომელსაც პირველად დაეუფლნენ შვედები და რუსებს „სამამულო ჰოკეის" 50 წლის თავი ჩაუმწარეს.

მთავარი პრიზის ბედი შვედებისა და რუსების ბოლო შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. რუსებს ფრეც აძლევდათ ხელს, მაგრამ სკანდინავებმა ჩვეულ სტილში ითამაშეს და ღირსეულად გაიმარჯვეს 3:1, თუმცა ბოლო შაიბა უკანასკნელ წამებზე შეაგდეს.

სათქმელია, რომ შვედებმა ყველა კარგი მოთამაშე ვერ ჩაიყვანეს; ნჰლ-ში ნათამაშევი ბერგკვისტი და მ. სვენსონიც აკლდნენ, და მაინც, ყველაზე სტაბილური და დაბალანსებული ეს ნაკრები იყო.

ძლიერი ეთქმოდათ ფინეთსა და ჩეხეთსაც. ორივეს 1995-96 წლის რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდათ, მაგრამ ერთსაც და მეორესაც რუსებთან ხელი მოეცარა და ქულები დაკარგა.

ტურნირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სკანდინავთა უპირატესობა. რუსებსა და ჩეხებს, როგორც შეჯიბრმა გამოავლინა, ოკეანის გაღმა მოთამაშეთა იმედი უნდა ჰქონოდათ. აშკარად სუსტი იყო კანადის ნაკრები: ჩვეული უხეშობისა და აგრესიულობის გარდა კანადელები არაფრით გამორჩეულან.

ბოლოს დავძენთ, რომ „იზვესტიის" გათამაშება, ადრე ჩატარებული „კარიალას" თასი (ფინეთში) და სამომავლოდ დაგეგმილი „გლობენის" თასი (შვედეთში) ევროპის ჰოკეის ტურის ეტაპებად იქცნენ. ტურის გამარჯვებული სოლიდურ ფულად ჯილდოს — 100 000 US$ მიიღებს. ორი ეტაპის შემდეგ 9 ქულით შვედეთი ლიდერობს. 7 ქულა აქვს ფინეთს, 6 — რუსეთს, 2 — ჩეხეთს.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

რუსეთი — ფინეთი 3:1, კანადა — შვედეთი 1:5; ჩეხეთი — რუსეთი 1:3, ფინეთი — კანადა 6:1; შვედეთი — ჩეხეთი 3:3, რუსეთი — კანადა 6:0; ფინეთი — შვედეთი 1:3, კანადა — ჩეხეთი 1:3; ჩეხეთი — ფინეთი 2:5, შვედეთი — რუსეთი 3:1

| | მ | ფ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 1 | 0 | 14- 6 | 7 |
| რუსეთი | 3 | 0 | 1 | 13- 5 | 6 |
| ფინეთი | 2 | 0 | 2 | 13- 9 | 4 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 2 | 9-12 | 3 |
| კანადა | 0 | 0 | 4 | 3-20 | 0 |

საუკეთესო ბომბარდირი: კოროლიუკი (რუსეთი) 6 (4+2)

**სამველ ღარიბიანი**

## ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი, მიკიბულ-მოკიბული

უქმეებზე მოთხილამურეთა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპები გაიმართა.

პარასკევსა და შაბათს ალტა-ბადია — ვალ-გარდენაში (იტალია) ორჯერ დაეშვნენ ვაჟები, კვირას კი იქვე გიგანტური სლალომი გამართეს. პირველი დაშვება მოიგო ფრანგმა ლუკ ალფონმა, მაგრამ მეორეში 0,23 წამით ჩამორჩა იტალიელ კრისტიან გედინას. გიგანტურ სლალომში შვეიცარელმა მიხაელ ფონგრენიგენმა 0,77 წამი მოუგო თანამემამულე სთივ ლოხერს, 1,39 — იტალიელ მატეო ნანას, ხოლო 1,92 — ავსტრიელ ჰანს კნაუსს.

11 ეტაპის შემდეგ კნაუსს 421 ქულა აქვს, ფონგრენიგენს — 331, ლოხერს — 295, თომას სიკორას (ავსტრია) — 282, ხეტილ-ანდრე ომოდტს (ნორვეგია) — 280.

შაბათსვე, კრანს-მონტანაში (შვეიცარია) დაშვება მოიგო ახალზელანდიელმა კლაუდია რიგლერმა.

თანამემამულე ვაჟებს არ ჩამორჩნენ რუსი მე-ჰოროლ-ე (ბალახის ჰოკეისტი) ქალები, რომლებმაც კრახი განიცადეს მათი ქვეყნის დიდი მეგობრის — ქალბატონ ინდირა განდის ოქროს თასის გათამაშებაზე, კვირას რომ დასრულდა ნიუ-დელიში.

რუსმა ბაბებმა ოთხივე მატჩი წააგეს: ინდოეთთან 0:5, სამხრეთ კორეასთან 0:10, ავსტრალიასთან, ჩინეთთან 1:8. ფინალში მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ავსტრალიამ წრიულ ეტაპზე 1:2 წაგებისათვის 6:2 გადაუხადა სამაგიერო კორეას.

ეძებენ ვეტერან ამერიკელ ავტო-მრბოლ ბობ ანსერს, ვისაც სამჯერ მოუგია პრესტიჟული „ინდიანაპოლის-500" რბოლა, ახალ კი ძმობილთან ერთად სნოუ-მობილით სასეირნოდ წასულა და დაკარგულა.

კამბოჯაში გაიმართა საქველმოქმედო მარათონი. შემოსავალი — 17 ათასი დოლარი მოხმარდება ქვეით-საწინააღმდეგო ნაღმებით დასახიჩრებულთა შეწევნას. ამ ბედკრულ ქვეყანაში ექსპერიმენტატორ კომუნისტთა ზეობისა და შინა-ომების 25 წლის მანძილზე ნაღმებს 80 ათასი კაცი მოუკლავს, მილიონობით კი თურმე ჯერაც დაგებულია და ფეხის დაბიჯებას ელის, რომ აფეთქდეს.

მას შემდეგ, რაც ექს-პოლონელმა, აწ კი ამერიკელმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ — ენდრიუ (ანჯეი) გოლოტამ რიდიკ ბოუსთან მეორედაც წააგო დისკვალიფიკაციის გამო, მენეჯერ ლუ დუვას რჩევით მიმართა ფსიქო-ანალიტიკოსს, რათა წარსული მოჩხრიკოს და ახლანდელი უგვანო ქცევის მიზეზი დაადგინოს.

მორიგი დისკვალიფიკაცია, ამჯერად სამთვიანი, და მორიგი ჯარიმა — 1 400 დოლარი დააკისრეს დამთხვეულ ავსტრალიელ მე-სქვოშ-ეს — ენთონი ჰილს, რომელმაც ამ შემოდგომაზე მორიგი სკანდალები მოაწყო ჯერ ყარაჩში, მსოფლიოს ღია პირველობაზე, შემდეგ კი ბომბეიში, მაჰინდრას საერთაშორისო ტურნირში. ჰილს 1997 წელი გამოსაცდელ ვადად დაუნიშნეს და თუ კვლავაც მიჰქარავს, ერთწლიან დისკვალიფიკაციასა და 3 000-დოლარის ჯარიმას მიუსჯიან.

აშშ-ის უპირველესმა სპორტულმა ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეითიდმა" წლის საუკეთესო სპორტსმენად ცნო არა ატლანტის ოლიმპიადის რომელიმე ამერიკელი გმირი, არამედ 20 წლის მეგოლფ-ე, მულატი ელდრიკ „თაიგერ" ვუდზი, ვისაც დედა თაი ჰყავს და ამის გამო ამერიკის გარდა აზიაშიც ერთობ უყვართ.

ვუდზმა წელს ზედიზედ მესამედ მოიგო აშშ-ის მოყვარულთა პირველობა, მერე კი პროფესიონალი გახდა და ყველა ტურნირშიც გადასარევად ითამაშა. ავსტრალიის ღია პირველობაში მისი მონაწილეობა იმხელა ფურორი იყო, რომ მსოფლიოს პირველი ნომერი, მასპინძელი გრეგ ნორმანიც კი დაჩრდილა.

ამასობაში, აშშ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მორბენალი მაიქლ ჯონსონი აღიარა საუკეთესო ათლეტად. ამას მედიამ სათანადო კომენტარი მოაყოლა, ოლიმპიურ საჩემპიონებსა და მეტადრე მძლეოსნობას ჩვენში პატივს არა სცემენო, რაზეც ჟურნალმა მიუგო, ჯონსონი სულაც არ გამოგვრჩენია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც ვუდზი ჯობსო!



ჩოგბურთის გერმანელ ვარსკვლავ ბორის ბეკერს შინ, მიუნხენში აღარ ედგომება. [illegible] შეიქნა. ახლა გაირკვა, რომ ბეკერები ამერიკაში გადასახლებას აპირებენ, მით უფრო, რომ ფლორიდაში უკვე ბინაც შეუძენიათ.

ბრიტანეთში სამი წელი იბჭეს და დაადგინეს, რომ ლონდონის „უემბლი" ქვეყნის მთავარ სპორტულ არენად დატოვონ. თუმც მავანნი ითხოვდნენ, სამეფოს სპორტულ დედაქალაქად მანჩესტერის დაწინაურება ჯობსო, ფეხბურთელთა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის წარმატებამ „უემბლის" აქციები ერთი-ათად აწია.

სტადიონის გასაახლებლად მთავრობამ 120 მილიონი, გირვანქა გამოყო. ნაგებობა იერს სულმთლად შეიცვლის — ამჟამინდელი სტრუქტურიდან მხოლოდ „თვინ თაუერზი" (წყვილ-კოშკი) დარჩება. „უემბლი" კვლავაც იქნება ინგლისური ფეხბურთისა და 13-კაცა რაგბის (ე. წ. ლიგის) მექა.

კვირას სასწაული მოხდა ბულავაიოში, სადაც უიშვიათესი შედეგით — ფრედ დასრულდა ზიმბაბვე — ინგლისის კრიკეტის ტესტი.

მასპინძლებს ტესტის მოთამაშე ქვეყნის სტატუსი 90-იან წლებშიღა მიენიჭათ, რის გამოც ინგლისს ამ დონეზე პირველად ეთამაშებოდნენ. მატაბელელენდის ადმინისტრაციული ცენტრის „ქვინზ-კლაბის" ოვალზე სარეკორდოდ ბევრი — 3 ათასი ქომაგი მოგროვდა. მათ არც უნანიათ: ბოლო, მეხუთე დღეს დრამატული ფინიში იხილეს.

რომ მოსაღამოვდა, მატჩის ბოლო ბურთიდან ინგლისს მოსაგებად სამი გარბენი ჭირდებოდა. აწვდიდა განერვიულებული ჰის სთრიქი. ნიკ ნაითს „ბაუნდრი" (მოედნის კიდეზე ბურთის გადაგდებისათვის სარგო 4 გარბენი) რომ გაეხერხებინა, ინგლისი მოიგებდა, მაგრამ მასპინძელთა ფილდერებმა ბურთი დროზე მოიტანეს და ნაითის მეწყვილე დარენ გოფს ბჭე დაულეწეს მაშინ, როცა სტუმარ ტაფელოსნებს ერთმანეთისთვის ადგილი მხოლოდ ორჯერ გაეცვალათ.

ანგარიში: ზიმბაბვე 376 და 234 — ინგლისი 406 და 204 (6 ბჭის სანაცვლოდ). შედეგი — ფრე!

ამერიკელმა ჩოგბურთელმა მონიკა სელეშმა ხუთშაბათს წააგო აპელაცია: ამ სამნახევარი წლის წინ შტეფი გრაფზე უიმედოდ შეყვარებულმა გიუნთერ პარხემ ჰამბურგში ასპარეზობისას დანით ბეჭში რომ დაკოდა, ქალს 27 თვე გაუცდა და ფინანსურადაც გვარიანად იზარალა, სასამართლომ კი პარხეს ოდენ ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, ისიც — პირობით.

ამან გააგულისა მონიკა და ტურნირის ორგანიზატორს — გერმანიის ჩოგბურთის კავშირს 16 მილიონი დოლარი ზარალის ანაზღაურება მოთხოვა, მაგრამ ამან დავა ამჯერადაც მოუგო, აქაო და იმ დროს უსაფრთხოების დასაცავი ყველა ღონისძიება გავატარეთო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29